კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

რევაზ ჩიხლაძე

რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრატეგიის მოდერნიზებული გეოპოლიტიკური ასპექტები: ორი „ჩეჩნური“ სამხედრო კამპანია და საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა 21-ე საუკუნეში

საერთაშორისო ურთიერთობების და საერთაშორისო უსაფრთხოების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო

ურთიერთობების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი, პოლიტიკურ მეცნიერებათა

დოქტორი **ვახტანგ მაისაია**

თბილისი

2019

ანოტაცია

რუსეთის ფედერაციის მსგავსი სახელმწიფოების სამხედრო დოქტრინები და სტრატეგიები დიდ ინტერესს წარმოადგენს მსოფლიოს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის და კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს მისი მეზობელი ქვეყნებისთვის. აღნიშნულმა სტრატეგიულმა დოკუმენტებმა მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადეს საბჭოთა კავშირის დაშლიდან. თუ მანამდე მთავარი აქცენტი გლობალური ომის საფრთხეებზე კეთდებოდა, პოსტ-საბჭოთა პერიოდის რუსული სამხედრო დოქტრინები გადაერთო ქვეყნის შიდა პოტენციურ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებზე, რაც შესაძლოა განპირობებული ყოფილიყო რელიგიური ან ეთნიკური განსხვავებებით.

1990-იან წლებში შემუშავებულ სამხედრო დოქტრინებზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ჩეჩნეთის პირველმა და მეორე სამხედრო კამპანიებმა. 2000-იანი წლების დასაწყისში შემუშავებული დოქტრინები მიზნად ისახავდნენ იმ გამოწვევებთან და პრობლემებთან გამკლავებას, რაც გამოიკვეთა ჩეჩნეთის პირველი ომის პერიოდში. რაც შეეხება რუსეთის უფრო თანამედროვე სამხედრო დოქტრინებს, იქ მთავარი აქცენტი სამხედრო სიძლიერის შენარჩუნების მნიშვნელობის ხაზგასმის პარალელურად კეთდება ომის ასიმეტრიულ ტაქტიკაზე, რაც ითვალისწინებს ისეთი ქმედებების გამოყენებას ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, როგორიცაა საინფორმაციო ომი, ეკონომიკური, ჰუმანიტარული ღონისძიებები, რაც ხორციელდება (ხშირ შემთხვევაში ფარული) სამხედრო ოპერაციების პარალელურად.

აღნიშნული კვლევა ცდილობს წარმოაჩინოს, თუ რა სახის გამოწვევებს უქმნიდნენდა უქმნიან რუსეთის ტრანსფორმირებული სამხედრო დოქტრინები საქართველოს უსაფრთხოების გარემოს დამოუკიდებლობის მოპოვების პერიოდიდან მოყოლებული.

Modernized Geopolitical Aspects of Russia's Military Strategies: Two "Chechen" Military Campaigns and Georgia's Defense Policy in the 21st Century

Annotation

Military Doctrines of countries like Russia is of high importance for any country, and are of even higher relevance for Russia's neighbouring states. Since the collapse of the Soviet Union, Russia's military doctrines have undergone serious modifications. If before the main emphasis was placed on the threats stemming from global warfare, military doctrines of post-Soviet Russia have switched their attention to the potential inner conflicts, which may have been inspired by religious or ethnic differences among its population.

First and second military campaigns in Chechnya had an important impact on military doctrines developed in the 1990s. Those strategic documents which were developed in the beginning of 2000s aimed to meet those challenges and problems, which were evident in the first Chechen war. As for the relatively more modern Russian military doctrines, apart from stressing the importance of maintaining strong military forces, the main emphasis there is on more asymmetric measures of warfare, which envision the use of such tactics in parallel to (often covert) military actions for achieving political goals of the war, as information warfare, economic or humanitarian measures.

This research will also attempt to demonstrate what kind of challenges have transformed and modernized Russian military doctrines posed to the security environment of Georgia since obtaining independence in 1991.

Revaz Chikhladze

სარჩევი

შესავალი 5

თავიპირველი - რუსეთისფედერაციისსამხედროსტრატეგიისტრანსფორმაცია 21-ესაუკუნეში„ჩეჩნური“სამხედროკამპანიებისგამოცდილებისკონტექსტში 16

1.1. რუსეთისფედერაციისსამხედროდოქტრინალურიმოდერნიზაციაჩეჩნეთისპირველიდამეორესამხედროკამპანიებისპერიოდში 16

1.1.1. საგარეოსაფრთხეები 19

1.1.2. შიდასაფრთხეები 20

1.1.3. შეიარაღებულიძალებისმიზნები 22

1.2. „ჩეჩნური“ სამხედროკამპანიებისთავისებურებებიდამათიგავლენასამხედროსტრატეგიებისდაგეგმარებაზე 23

1.2.1. ჩეჩნეთისპირველისამხედროკამპანია 23

1.2.2. ჩეჩნეთისმეორესამხედროკამპანია 27

1.3. გერასიმოვისდოქტრინადამისიგეოპოლიტიკურიპარამეტრები 36

თავიორი - ტრანსფორმირებულირუსულისამხედროდოქტრინებისგავლენასაქართველოსუსაფრთხოებისგარემოზე 44

2.1. საქართველოსსამხედროპოლიტიკისამოცანებიდამოუკიდებლობისმოპოვებისშემდეგ 44

2.1.1. საქართველოსეროვნულისამხედროსტრატეგია 2005-2010 წელი 46

2.1.2. საქართველოსეროვნულისამხედროსტრატეგია 2014 წელი 48

2.2. რუსეთისფედერაციისახალისამხედროდოქტრინადამისიგავლენასაქართველოსსამხედროუსაფრთხოებაზე 53

2.3. “ჩეჩნური“ სამხედროკამპანიებისანალიზიდასაქართველოსგეოსტრატეგიულიმდგომარეობა 58

დასკვნა 68

ბიბლიოგრაფია 75

შესავალი

აღნიშნული კვლევა შეეცდება შეისწავლოს თუ როგორ იცვლებოდა დროთა განმავლობაში რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინები და რა გავლენას ახდენდა ამ პროცესზე ისეთი მნიშნელოვანი პოლიტიკური თუ სამხედრო მოვლენები, როგორიცაა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანია და თავის მხრივ, რუსეთის სამხედრო დოქტრინალურ ცვლილებებსა და თანამედროვე სამხედრო ხედვას რა გავლენის მოხდენა შეუძლია საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

სამხედრო სტრატეგიების შესწავლის კონტექსტში, ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომები ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო მაგალითებს წარმოადგენს. მიუხედავად რიცხობრივი უპირატესობისა და უფრო ძლიერი სამხედრო ტექნიკის ფლობისა, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მარცხი განიცადეს ჩეჩნეთის პირველ კონფლიქტში, რომელიც 1994-1996 წლებში მიმდინარეობდა. 1999 წელს კონფლიქტის განახლების შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მოახერხეს მოწინააღმდეგის დამარცხება და ლოიალური ძალების მოყვანა ჩეჩნეთის ავტონომიური რესპუბლიკის სათავეში.

საკვლევი თემის აქტუალურობა

ის, თუ რა გავლენა იქონია ჩეჩნეთის პირველ და მეორე სამხედრო კამპანიებში მიღებულმა გამოცდილებამ რუსეთის სამხედრო დოქტრინების ტრანსფორმაციაზე დროთა განმავლობაში მნიშვნელოვან საკვლევ საკითხს წარმოადგენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოს კვლევის კონტექსტში.

მთავარი საფრთხეები, რომელთაც ხაზს უსვამდა სხვადასხვა პერიოდში შემუშავებული რუსული სამხედრო დოქტრინები განსხვავდებოდა ერთმანეთისგან, ისევე როგორც მთავარი ქმედებები, რაც ამ საფრთხეების გასანეიტრალებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. რუსეთის 1990-იანი წლებისა და უფრო თანამედროვე სამხედრო დოქტრინებისა და ხედვების

შესწავლა მნიშვნელოვანია საქართველოს კონტექსტში, რათა სამომავლოდ ამ მთავარი საფრთხეების შესაბამისად მოხდეს ქვეყნის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმა და განხორციელება.

საკვლევი კითხვები

1. რით განსხვავდებოდა რუსეთის ფედერაციის სამხედრო სტრატეგიები ჩეჩნეთის პირველი და მეორე ომების პერიოდებში და რამდენად შეცვალა რუსეთის ფედერაციამ სამხედრო სტრატეგია ამ ომების გამოცდილების საფუძველზე?

2. რა გავლენა იქონია ორი სამხედრო კამპანიის შედეგად ტრანსფორმირებულმა და უფრო მოგვიანებით შემუშავებულმა რუსეთის სამხედრო დოქტრინებმა რეგიონალურ უსაფრთხოების გარემოზე, განსაკუთრებით საქართველოს კონტექსტში?

საკვლევი კითხვების გაანალიზების შედეგად ჩამოყალიბდა შემდეგი კვლევის ჰიპოთეზები:

ჰიპოთეზა 1.ჩეჩნეთის მეორე ომის პერიოდში, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა პირველი კონფლიქტის პერიოდში მიღებული გამოცდილება და მკვეთრად შეცვალა თავისი საბრძოლო სტრატეგია ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგ, რამაც უზრუნველყო მისი სამხედრო წარმატება მეორე ომში.

ჰიპოთეზა 2.ჩეჩნეთის ორი ომის შედეგად მიღებული გამოცდილება და მის საფუძველზე ტრანსფორმირებული რუსული სამხედრო დოქტრინები (1990-იანი წლების დოქტრინები; ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინა“) კონკრეტულ გამოწვევებს ქმნის საქართველოს უსაფრთხოების გარემოსთვის.

კვლევის მეთოდი

საკვლევ კითხვებზე პასუხის გაცემის მიზნით, დავეყრდენი კვლევის თვისებრივ მეთოდს - კონკრეტული შემთხვევის ანალიზსა (case study) და შედარებითი

ანალიზის მეთოდს (comparative case study).[1] მთავარ შესასწავლ ობიექტებს/ნიმუშებს, ანუ ე.წ. ქეისებს წარმოადგენდა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანია და რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინები.

ე.წ. ქეისების შესწავლის მიზნით, დავეყრდენი ისეთ წყაროებს, როგორიცაა, რელევანტური აკადემიური ლიტერატურა წიგნებისა და აკადემიური ჟურნალების სახით და რუსეთის სამხედრო დოქტრინები. გავეცანი ქართველი და უცხოელი ექსპერტების მოსაზრებებს, გამოცემულს როგორც ინტერვიუების, ასევე აკადემიური სტატიებისა და წიგნების სახით. აღნიშნული კვლევის კონტექსტში, ასევე გავეცანი სხვადასხვა რუსული თუ უცხოური მედია გამომცემლობის მოსაზრებებს ჩეჩნეთის ომების პერიოდში რუსეთის განხორციელებული ქმედებების შესახებ.

კვლევის მიზნებს წარმოადგენს:

- რუსეთის ფედერაციის სამხედრო და თავდაცვის პოლიტიკის შესწავლა;
- რუსეთის ფედერაციის სამხედრო და თავდაცვის პოლიტიკის დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციის ანალიზი სამხედრო დოქტრინების შესწავლის გზით;
- შესწავლა, თუ როგორ გამოიყენა რუსეთმა ჩეჩნური გამოცდილება, რა ახალი ელემენტები შეიტანა თავის სამხედრო სტრატეგიებში ახალი გეოპოლიტიკური მიზნების მისაღწევად;
- რუსეთის ფედერაციის სამხედრო და თავდაცვის პოლიტიკის გავლენის შესწავლა საქართველოზე;

კვლევის მიმდინარეობისას გამოიკვეთა შემდეგი ამოცანები:

- განსაზღვრა და შესწავლა, თუ რა კონკრეტული ინსტრუმენტები გააჩნია რუსეთს თავისი ახალი გეოსტრატეგიული ხედვების განხორციელებისთვის;
- რა ფორმით ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის სამხედრო სტრატეგიები რუსეთის ფედერაციისგან მომდინარე საფრთხეებს.

[1]გარი ქინგი, რობერტ ო. კეოჰეინი, სიდნი ვერბა, „სოციალური კვლევის პროექტირება: სამეცნიერო დასკვნები თვისებრივ კვლევებში“, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014, 88-89

თეორიული ჩარჩო

ჩეჩნეთის პირველი და მეორე კონფლიქტების ანალიზისთვის დავეყრდენი სამ ძირითად თეორიულ ჩარჩოს: პირველი ომის ანალიზისთვის გამოვიყენე „ასიმეტრიული კონფლიქტის თეორია“ (Asymmetric Conflict Theory), ხოლო მეორე ომის კონტექსტში დავეყრდენი ლიდელ ჰართის „დიდი სტრატეგიის“ (Grand Strategy) თეორიას. რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინების შესწავლის კონტექსტში, დავეყრდენი „სეკურიტიზაციის თეორიას“ (Securitisation Theory), რომლის თანახმადაც უსაფრთხოების პოლიტიკა არაა ობიექტურად მოცემული, არამედ ის განისაზღვრება პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილებების მიმღებთა მიერ.

„ასიმეტრიული კონფლიქტის თეორია“ იკვლევს, თუ როგორ შეიძლება შედარებით მწირი რესურსებისა და ძალის მფლობელმა აქტორმა, სწორი სტრატეგიისა და ტაქტიკის გამოყენებით, არარელევანტური გახადოს უფრო დიდი ძალის უპირატესობა. ისტორიული მაგალითები აჩვენებს, რომ შედარებით სუსტი აქტორებიც იმარჯვებენ და აღწევენ სასურველ მიზანს, მთავარი კითხვაა, თუ როგორ ახერხებენ ამას.

აღნიშნული თეორია აქტიურად განიხილებოდა ვიეტნამის კონფლიქტის კონტექსტში. ზოგი მკვლევარი მიიჩნევს, რომ ვიეტნამის კონფლიქტში ჩრდილოეთ ვიეტნამს უფრო მეტი ჰქონდა დასაკარგი, ვიდრე აშშ-ს, რაც განაპირობებდა მათ ბრძოლისუნარიანობას. მას შემდეგ რაც საბრძოლო მოქმედებები დროში გაიწელა, აშშ-ის შეიარაღებული ძალები იძულებულნი გახდნენ დაეტოვებინათ ვიეტნამი საზოგადოების დიდი ზეწოლის გამო. რაც უფრო დიდხანს გრძელდებოდა საბრძოლო მოქმედებები და რაც უფრო დიდ მსხვერპლს იღებდა აშშ თავისი ჯარისკაცების სახით, მით უფრო იზრდებოდა

მოსახლეობის ზეწოლა მთავრობაზე ომის დასრულების მიზნით, რასაც საბოლოო ჯამში დაჰყვა კიდეც ქვეყნის ხელმძღვანელობა.[2]

„დიდი სტრატეგიის თეორიის“ თანახმად, Grand Strategy-ს მიზანია, ერის ყველა რესურსის მობილიზება და კოორდინირება ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. აღნიშნული რესურსები შეიძლება მოიცავდეს ქვეყნის ეკონომიკურ, სამხედრო, დიპლომატიურ, კულტურულ რესურსებს. მოგვიანებით ჯონ ქოლინსმა გააფართოვა Grand Stratgy-ს ცნება და იგი განმარტა როგორც „სახელმწიფო ძლიერების გამოყენება ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მისაღწევად ყველა გარემოებაში.“[3]

ლიდელ ჰართმა დიდი სტრატეგიის თეორია შეიმუშავა კარლ კლაუზევიცის სამხედრო აზროვნების გადახედვის მიზნით. ჰარტი ამტკიცებდა, რომ ტექნოლოგიურმა რევოლუციამ შეცვალა ომების ბუნება და შესაბამისად, საჭირო გახდა ახალი სტრატეგიული ჩარჩოს შემუშავება. მისი ხედვით, სტრატეგია უნდა მიესადაგებოდეს და მოიცავდეს არა მხოლოდ სამხედრო ძალებს, არამედ უნდა მოიცავდეს ხელისუფლების ყველა სახის ქმედებას, რომელიც მიმართული უნდა იყოს ომის პოლიტიკური მიზნების მიღწევისკენ. თავის წიგნში ის მიმოიხილავს ომის მრავალ მაგალითს, დაწყებული ქრისტეს შობამდე მეხუთე საუკუნიდან, დამთავრებული პირველი და მეორე მსოფლიო ომებით. ჰართის აზრით, კლაუზევიცის სტრატეგიის არასწორმა აღქმამ ხელი შეუწყო პირველი და მეორე მსოფლიო ომების სისხლის ღვრის გაჩაღებას და ომის გახანგრძლივებას. შესაბამისად, მისი აზრით, საჭირო გახდა გადახედვა იმის, თუ როგორ შეიძლება სამხედრო ძალა ეფექტურად იქნას გამოყენებული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

თავად სტრატეგიას ჰართი შემდეგნაირად განმარტავს: „სამხედრო რესურსებისა და საშუალებების განაწილებისა და გამოყენების ხელოვნება,

---

[2]Ivan Arreguin-Toft, How the Weak Win Wars: A Theory of Asymmetric Conflict, International Security, Vol. 26, No 1, 2001, pp. 94-95.

[3] Thierry de Montbrial, Jean Klein, “Dictionnaire de Strategie”, Presses universitaires de France, 2000, p. 270-271.

დასახული პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.“ მისი აზრით, დიდი სტრატეგიის მთავარი ფუნქციაა, მოახდინოს სახელმწიფოს ხელთ არსებული ყველა რესურსისა და საშუალების კოორდინირება და მიმართვა ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. წარსულში მომხდარი მრავალი ომის ანალიზის საფუძველზე, ჰართმა დაასკვნა, რომ კონფლიქტებში გამარჯვება ხდება იმ შემთხვევაში, როცა მრავალი, სხვადასხვა სახის საშუალების (სამხედრო, ეკონომიკური, სავაჭრო, დიპლომატიური და ა.შ.) გამოყენება ხდება ოპონენტის წინააღმდეგ ისე, რომ ის არ არის მომზადებული ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად.[4]

კიდევ ერთი თეორიული ჩარჩო, რომლის განხილვაც საჭიროა აღნიშნული კვლევის ფარგლებში არის **სეკურიტიზაციის თეორია**, რომლიც წარმოშობაც დაკავშირებულია კოპენჰაგენის სკოლასთან, რომელმაც თავის მხრივ, მნიშვნელოვანი როლი შეასრულა უსაფრთხოების დეფინიციის ჩამოყალიბებაში. კოპენჰაგენის სკოლის თეორეტიკოსთა თანახმად, თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში უსაფრთხოების მნიშვნელობა ყალიბდება ძირითადი პოლიტიკური აქტორების სიტყვებისა და ქმედებების მეშვეობით. აღნიშნული სკოლა აკეთებს დაშვებას, რომ ყველა ადამიანი მიისწრაფვის უსაფრთხოებისკენ, აქედან გამომდინარე, ის პოლიტიკური ლიდერი, რომელსაც შეუძლია გასცეს დაპირება უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და დაცვის შესახებ მიიჩნევა სასურველ და ლეგიტიმურ ლიდერად.[5]

სეკურიტიზაციის თეორია ამტკიცებს, რომ უსაფრთხოების პოლიტიკა არაა ობიექტურად მოცემული, არამედ ის წარმოადგენს მრავალი პოლიტიკური აქტორისა და გადაწყვეტილების მიმღების ქმედებისა და გადაწყვეტილების შედეგს. აღნიშნული თეორიის თანახმად, თუ შესაბამისი გადაწყვეტილების მიმღები პირები გარკვეულ საკითხს წარმოაჩენენ როგორც ძალიან მნიშვნელოვან უსაფრთხოების საკითხს, მაშინ მისი გადაწყვეტა და მოგვარება ხდება ქვეყნისა და

[4]Classics of Strategy, “B. H. Liddell Hart, Strategy (1954)“, January 19, 2016, https://www.classicsofstrategy.com/2016/01/liddell-hart-strategy-1954.html

[5]ირაკლი ჯღარკავა, „ანტი-მიგრაციული რიტორიკა საქართველოში: ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს პრო-ევროპულ დისკურსს ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან“, საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი, 2017.

საზოგადოების ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. მაგალითისთვის, მიგრანტებთან დაკავშირებული საკითხები ერთის მხრივ შეიძლება მიჩნეულ იქნას ე.წ. „დაბალი პოლიტიკის“ საკითხად, რომელიც უფრო სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებთანაა დაკავშირებული, თუმცა თუ უსაფრთხოების ავტორიტეტული აქტორები მას განსაზღვრავენ უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად და პრობლემურ საკითხად, რომელიც საჭიროებს სასწრაფო რეაგირებას, მაშინ აღნიშნული საკითხი გადაინაცვლებს „დაბალი პოლიტიკის“ საკითხებიდან „მაღალი პოლიტიკის“ საკითხებში.[6]

სეკურიტიზაციის თეორიის ერთ-ერთი მთავარი ფოკუსი იმაზეა, თუ როგორ ახდენენ გადაწყვეტილებების მიმღები პირები უფრო ფართო საზოგადოების დარწმუნებას, რომ ესა თუ ის საკითხი უნდა განხილულ იქნას მთავარ პრიორიტეტულ უსაფრთხოების საკითხად. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვანია, თუ როგორ ხდება ვერბალურად არა მხოლოდ რეალობის აღწერა, არამედ რეალობის შექმნა გადაწყვეტილების მიმღები პირების მხრიდან, რაც შემდგომში განსაზღვრავს გარკვეულ საპასუხო ქმედებებს. გარკვეული საკითხი სეკურიტიზირებულია, როცა უფრო ფართო აუდიტორია შეთანხმდება საფრთხის ბუნებასა და გადასადგმელი განსაკუთრებული ქმედებების ხასიათზე.[7]

გამოყენებული ლიტერატურის მიმოხილვა

აღნიშნულ ქვეთავში წარმოდგენილია კვლევის კონტექსტში რელევანტური ლიტერატურის მიმოხილვა:

1. პროფესორ მარკ გალეოტის წიგნი „რუსეთის ომები ჩეჩნეთში 1994-2009 წლებში (ძირითადი ისტორია)“[8] აღწერს რუსეთის მიერ ჩეჩნეთში წარმოებული ომების ისტორიას და შედეგებს. წიგნში მოცემულია რუსეთის პირველი სამხედრო ნაბიჯები დაწყებული გროზნოს ბრძოლებით და მთიანი რელიეფის პირობებში გაჩაღებული პარტიზანული ომებით დამთავრებული. ავტორი საინტერესოდ

[6]Clara Eroukhmanoff, “Securitisation Theory: An Introduction”, 2018.
[7]Buzan, Barry, Ole Wæver and Jaap de Wilde, “Security: A New Framework for Analysis“, (Boulder, CO: Lynne Rienner), 1998, p. 26.
[8]Mark Galeotti, Russia’s Wars in Chechnya 1994–2009 (Essential Histories), (Oxford, Osprey Publishing),2014, pp. 8-24.

წარმოაჩენს ამ ომების ხასიათს, რომელშიც ერთმანეთს ერწყმის იმპერიული ომი, სამოქალაქო ომი და ტერორიზმი. მარკ გალეოტის დაკვირვებით, ომებს განსაკუთრებულ ხასიათს სძენს ორი ფაქტორი: ჩეჩნებში არსებული აბრაგობის ისტორიული ტრადიცია და სპეცდანიშნულების რაზმებში ჩეჩნების არაპროპორციულად დიდი რაოდენობა. წიგნის ავტორი ასევე საინტერესოდ აღწერს იმ გავლენას, რომელიც ჩეჩნეთის ომებმა იქონია ჩეჩნური საზოგადოების ფორმირების პროცესზე და რუსეთის შიდა პოლიტიკურ პროცესებზე, კერძოდ საპრეზიდენტო არჩევნებზე და სამხედროებსა და საზოგადოებას შორის ისედაც არსებული უფსკრულის კიდევ უფრო გაღრმავებაზე.

2. მარტოხელა მგლის ეშვი: ჩეჩნების ტაქტიკა რუსეთ-ჩეჩნეთის ომებში 1994-2009 წლებში[9], მოცემული წიგნი აერთიანებს პარტიზანულ ომებს გადარჩენილი მებრძოლების მონათხრობებს. იგი მოიცავს ისტორიებს გროზნოს, არღუნის, ბამუთის, სერჟენ-იურთის და სხვა მნიშვნელოვანი ბრძოლების შესახებ. წიგნში ბრძოლის ისტორიებთან ერთად უხვად არის წარმოდგენილი ამ ბრძოლების ამსახველი რუკები, რაც მას განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს სტრატეგიულ, ოპერატიულ თუ ტაქტიკურ დონეზე წარმოებული სამხედრო კამპანიების შესწავლის თვალსაზრისით. ავტორი აღწერს პარტიზანული ომისთვის დამახასიათებელ ლოგისტიკურ პრობლემებს, ადგილმდებარეობის სწორად გამოყენების ღირებულებას, სამხედრო დისციპლინის და დანაყოფებს შორის კოორდინაციის მნიშვნელობას.

3. „რუსეთის ჩეჩნური ომები 1994-2000 წლებში: ურბანული ბრძოლის გაკვეთილები“[10] წიგნში შესწავლილია ის სირთულეები, რომლებსაც რუსი სამხედროები შეხვდნენ ურბანული ოპერაციების დაგეგმვის და წარმართვისას ჩეჩნეთში, გროზნოს თუ სხვა ქალაქების და პატარა სოფლების გარშემო გაჩაღებული ბრძოლების დროს 1994-1995 და 1999-2000 წლებში. ავტორი

[9]Dodge Billingsley, Fangs of the Lone Wolf: Chechen Tactics in the Russian-Chechen War 1994-2009, (Helion and Company), 2013, pp. 6-10.
[10]Olga Oliker, Russia's Chechen Wars 1994-2000: Lessons from Urban Combat: Lessons from the Urban Combat,(RAND Corporation), 2001, pp.1-4.

შეისწავლის როგორც რუსი, ისე ამბოხებული ჩეჩნების ტაქტიკას და ბრძოლებისას განხორციელებულ ოპერაციებს. იგი ცდილობს წარმოაჩინოს თუ როგორ და რატომ იცვლებოდა მებრძოლების მიდგომები დროთა განმავლობაში. კვლევის ავტორის თანახმად, მართალია ორ ომს შორის 5 წლიან პერიოდში რუსმა სამხედროებმა შეძლეს იმ შესაძლებლობების მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, რომლებიც ძირითადი ამოცანების შესრულებას ემსახურებოდა, მაგრამ ამავე დროს მათ მოახდინეს სხვა მნიშვნელოვანი საკითხის იგნორირება, კერძოდ ურბანული ომის, ვინაიდან სჯეროდათ, რომ ურბანული მისიის განხორციელება მათ არ მოუწევდათ. ამგვარად მათ თვალი დახუჭეს და არ მოემზადნენ ყველაზე სტრესული საბრძოლო ოპერაციების შესასრულებლად, რასაც მათთვის სავალალო შედეგები მოყვა.

4. ომის წარმოების რუსული გზა: პოსტსაბჭოთა ადაპტაციის პერიოდი რუსეთის შეიარაღებულ ძალებში. რატომ დამარცხდა რუსეთის შეიარაღებული ძალები ჩეჩნეთში: პუტინი, გროზნო, ჩეჩნეთი და ომი საქართველოში, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი.[11] წინამდებარე კვლევა შესრულებულია ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის, თავდაცვის დეპარტამენტის და შეიარაღებული ძალების მიერ. იგი შეისწავლის რუსეთის მიერ ჩეჩნეთსა (1994 და 1999 წლები) და საქართველოში (2008 წელი) განხორციელებულ სამხედრო კამპანიებს, რომლებიც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოებულ პირველ ფართომასშტაბიან სამხედრო ოპერაციებს წარმოადგენდა. ამ ომებში რუსეთი იყენებდა როგორც საერთო საჯარისო შენაერთებს, ისე ახორციელებდა ანტიპარტიზანულ ოპერაციებს. განხორციელებული ოპერაციების ეს სრული სპექტრი საკმარის მასალებს იძლევა იმის დასადგენად, განავითარა თუ არა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა ომის წარმართვის ახალი სტრატეგიები თუ რუსი სამხედროები კვლავ საბჭოთა მეთოდებს იყენებენ. მოცემულ კვლევაში დეტალურად არის გაანალიზებული კონფლიქტების ისტორია, რეგიონის გეოპოლიტიკური ლანდშაფტი, კონფლიქტების პოლიტიკური წანამძღვრები და

[11]"The Russian Way of War: Post Soviet Adaptations in the Russian Military and Why the Russian Military Failed in Chechnya - Putin, Grozny, Chechen and Georgian War, South Ossetia, Abkhazia," (U.S. Government and Department of Defense), 2017, pp.1-7.

მხარეების სამხედრო სტრატეგიები. სამხედრო ოპერაციები კი შესწავლილია როგორც ტაქტიკურ, ისე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე.

5. „რუსეთის სეკურიტიზაციის სტრატეგია ჩეჩნეთში: როგორ გახდა ომი მისაღები,“[12] აღნიშნულ წიგნში სიღრმისეულადაა შესწავლილი, როგორ ხდება ქვეყნის ლიდერების მხრიდან მობილიზაცია და ლეგიტიმაცია ომის პირობებში, რუსეთის ჩეჩნეთთან კონფლიქტის მაგალითზე. შესწავლის საგანია, თუ რა პირობებში თანხმდებიან ლიდერები და საზოგადოება, რომ გარკვეული კონფლიქტები დიდ სირთულეებთანაა დაკავშირებული და იქ ჩართვა არ ღირს, რიგ შემთხვევებში კი კონფლიქტში ჩაბმა ლოგიკურია, უფრო მეტიც, აუცილებელიც კი. წიგნში შესწავლილია, თუ როგორ ხდებოდა მიდგომების შეცვლა ჩეჩნეთის კონფლიქტის მიმართ როგორც რუსეთის ხელმძღვანელობაში, ისე საზოგადოებაში. ავტორი ამტკიცებს, რომ ჩეჩენი მებრძოლების წარმოჩენამ ტერორისტებად 1999 წელს, მთავარი როლი შეასრულა საზოგადოების განწყობების ცვლილებაში ჩეჩნეთის კონფლიქტთან მიმართებაში. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით, წიგნში შესწავლილია რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს, ექსპერტებისა და ჟურნალისტების განცხადებები გაკეთებული ჩეჩნეთის მეორე სამხედრო კამპანიის დაწყებამდე და მისი დაწყების შემდეგ და ნაჩვენებია, თუ როგორ გახდა ჩეჩნეთის მეორე კამპანია „ლეგიტიმური“ საზოგადოების თვალში ამ მრავალი აქტორის ძალისხმევით.

სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა

ნაშრომი წარმოდგენილია ოთხი ძირითადი ნაწილის სახით. *შესავალში* წარმოდგენილი იყო კვლევის ძირითადი მიზნები და ამოცანები, ისევე როგორც კვლევის აქტუალურობა და კვლევის ჩატარების ძირითადი მეთოდები. *პირველი თავი* ეთმობა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინების დროთა განმავლობაში ტრანსფორმაციის ანალიზს ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების კვალდაკვალ, როგორიცაა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიები.

[12]Julie Wilhelmsen, Russia's Securitization of Chechnya: How War Became Acceptable (Routledge Critical Terrorism Studies), 2016, pp. 2-17.

*მეორე თავში*საუბარია საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე და იმ გავლენაზე, რასაც რუსეთის თანამედროვე სამხედრო დოქტრინები ახდენს საქართველოს უსაფრთხოებაზე. *დასკვნით*ნაწილში მოხდება კვლევის შედეგების შეჯამება.

თავიპირველი-
რუსეთისფედერაციისსამხედროსტრატეგიისტრანსფორმაცია
21-
ესაუკუნეშიჩეჩნურისამხედროკამპანიებისგამოცდილებისკონ
ტექსტში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჩამოყალიბდა რუსეთის ფედერაციის თავდაცვის სამინისტრო, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ დაიწყო სამხედრო სტრატეგიებისა და დოქტრინების შემუშავება. აღნიშნული თავის მიზანია, გააანალიზოს თუ რა სახის სამხედრო დოქტრინებს შეიმუშავებდა რუსეთის ფედერაცია 1991 წლიდან და როგორ გავლენას ახდენდა მათ ტრანსფორმაციაზე ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენები, როგორიცაა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიები. პირველი ქვეთავი მომოიხილავს რუსეთის სამხედრო დოქტრინებს, რომლებიც სემუშავებულ იქნა 1990-იანი წლების დასაწყისსა და დასასრულს. აღნიშნული ქვეთავი შეეცდება შეისწავლოს, თუ რა გავლენა მოახდინა ამ პერიოდში სამხედრო დოქტრინების შინაარსზე ჩეჩნეთის პირველმა და მეორე სამხედრო კამპანიებმა. მეორე ქვეთავი შეისწავლის ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების თავისებურებებს და მათ ზემოქმედებას რუსეთის სამხედრო დოქტრინების შინაარსზე, ხოლო მესამე ქვეთავში მიმოხილული იქნება რუსეთის თანამედროვე სამხედრო დოქტრინის ძირითადი პოსტულატები.

1.1.
რუსეთისფედერაციისსამხედროდოქტრინალურიმოდერნიზაციაჩეჩნეთისპირველიდამეორესამხედროკამპანიებისპერიოდში

აღნიშნული ქვეთავი შეისწავლის, თუ რა სახის ტრანსფორმაცია განიცადა რუსეთის ფედერაციის სამხედრო დოქტრინებმა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების პერიოდში. ამ მიზნით შესწავლილ იქნა 1993 წლის და 2000 წლის სამხედრო დოქტრინები, თუმცა აკადემიურ ლიტერატურაზე დაყრდნობით, ასევე მოკლედ იქნება მიმოხილული შედარებით უფრო ადრინდელი სამხედრო დოქტრინები, რომლის საფუძველზეც, კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთება განსხვავებები საბჭოთა კავშირის დაშლამდე და დაშლის შემდეგ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტებს შორის. ჩეჩნეთში პირველი სამხედრო კამპანია დაიწყო 1994, ხოლო მეორე 1999 წელს. შესაბამისად, ზემოხსენებული დოქტრინების შინაარსის შესწავლა და მათი ერთმანეთთან შედარება საშუალებას მომცემს, აღნიშნული დოქტრინების საფუძველზე განვსაზღვრო, თუ რა ცვლილებები განიცადა რუსეთის სამხედრო სტრატეგიამ ჩეჩნეთის ომების საპასუხოდ.

რუსეთის სამხედრო დოქტრინების შედარებითი ანალიზი აჩვენებს, თუ როგორ აღიქვამდა რუსეთის ფედერაცია სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებას, საფრთხეებს, სამხედრო ძალების მართვისა და კონტროლის, საერთაშორისო სამხედრო თანამშრომლობის საკითხებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთი აღიქმებოდა როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე. თავდაპირველად რუსეთის ხელმძღვანელობას ჰქონდა იმედი, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) შეასრულებდა საბჭოთა კავშირის მსგავს ფუნქციებს და მის წევრ ქვეყნებს ეყოლებოდათ საერთო შეიარაღებული ძალები, თუმცა მოგვიანებით მოვლენებმა აჩვენა საპირისპირო რეალობა. წევრი სახელმწიფოები ახდენდნენ საკუთარი, დამოუკიდებელი შეიარაღებული ძალების ფორმირებას. ამის შედეგად, რუსეთის ფედერაციაც იძულებული გახდა, ჩამოეყალიბებინა თავისი შეიარაღებული ძალები და თავდაცვის სამინისტრო 1992 წლის გაზაფხულზე.[13]

[13] Marcel de Haas (2001) An analysis of Soviet, CIS and Russian military doctrines 1990–2000, The Journal of Slavic Military Studies, 14:4, pp. 1-2.

სამხედრო დოქტრინები ხაზს უსვამენ შეიარაღებული ძალების საჭიროებებს პერსონალისა და შეიარაღების კუთხით. მეორეს მხრივ, სამხედრო დოქტრინები ასევე წარმოადგენს ერთგვარ გზამკვლევს, თუ როგორ უნდა მოხდეს კონფლიქტის შემთხვევაში შეიარაღებული კამპანიისა და ომის წარმოება. 1990-იანი წლების დასაწყისში, სამხედრო დოქტრინები მოიცავდა ორ ძირითად ნაწილს: სამხედრო-პოლიტიკური და სამხედრო-ტექნიკური ასპექტები. პოლიტიკური ასპექტები მოიცავდა საერთაშორისო ვითარების მიმოხილვას, ომის საფრთხეების შეფასებას და სახელმწიფოს პოზიციას ომების მიმართ. ხოლო სამხედრო-ტექნიკური ნაწილი ეთმობოდა ომების ბუნებას და რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, მათ სტრუქტურას და ორგანიზაციას. 1993 წლის დოქტრინას დაემატა მესამე ასპექტი: უსაფრთხოების პოლიტიკის ეკონომიკური საფუძვლები. ამ ასპექტის მთავარ მიზნად განსაზღვრულ იქნა რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების დროული და ეფექტური მომარაგება შესაბამისი შეიარაღებით, რაც საჭირო იყო სახელმწიფოსა და საზოგადოების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. აღნიშნული ნაწილი მოიცავს იმ შეიარაღების ჩამონათვალს, რომლის ფლობაც აუცილებლად აღიქმება ზემოხსენებული მიზნების მისაღწევად.[14]

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა კავშირის, დსთ-ს ჩამოყალიბებისა და მოგვიანებით პერიოდში, დოქტრინებით დასაცავი მთავარი ობიექტები იცვლებოდა, თუ საბჭოთა კავშირის პერიოდში მთავარ დასაცავ ობიექტს წარმოადგენდა „სოციალისტური სამშობლო“, 1990 წლის დოქტრინაში საუბარი იყო დსთ-ს სივრცის, ხოლო შემდგომ დოქტრინებში, რუსეთის ფედერაციის დაცვის აუცილებლობაზე.

1990-იანი წლების დოქტრინებში ბევრად ნაკლებადაა საუბარი გლობალური ომის საშიშროებაზე, ვიდრე საბჭოთა პერიოდის სამხედრო დოქტრინებში. თუმცა, გაზრდილია ყურადღება ისეთ პოტენციურ რეგიონალურ და შიდა საფრთხეებზე, როგორიცაა: პოლიტიკური, ეკონომიკური, ტერიტორიული და რელიგიური განსხვავებები. 1992 წლის დოქტრინაში პირველადაა ნახსენები ტერმინი

[14]რუსეთის 1993 წლის სამხედრო დოქტრინა, https://fas.org/nuke/guide/russia/doctrine/russia-mil-doc.html

„სამოქალაქო ომი“. 1993 წლის დოქტრინაში საუბარია „აგრესიულ ნაციონალიზმზე“ და „რელიგიურ შეუწყნარებლობაზე“, როგორც პოტენციურ მადესტაბილიზებელ ფაქტორებზე. 2000 წლის დოქტრინაში საფრთხეების ჩამონათვალს ასევე დაემატა ორგანიზებული დანაშაული, ტერორიზმი, იარაღით და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობა.[15]

აღნიშნული საფრთხეების დამატება საფრთხეების ჩამონათვალისთვის საკმაოდ ბუნებრივია, თუ გავითვალისწინებთ იმ დროინდელ რეგიონალურ კონტექტს: შიდა ეთნიკური კონფლიქტები საქართველოში, აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის, ასევე მოლდოვასა და ტაჯიკეთში. გარდა ამისა, თავისივე ტერიტორიის ფარგლებში, რუსეთი აწყდებოდა წინააღმდეგობას ჩეჩენი სეპარატისტების მხრიდან, რომელთან საკუთარი თავი რუსეთისგან დამოუკიდებლად გამოაცხადეს. ჩეჩნეთის პირველი (1994-1996) და მეორე ომების (1999) კვალდაკვალ, არაა გასაკვირი რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ შემუშავებულ დოქტრინებში რეგიონალური და შიდა, პოტენციური მადესტაბილიზებელი ფაქტორების მნიშვნელობა გაიზარდა.

1.1.1. საგარეოსაფრთხეები

ძირითადი საგარეო საფრთხეების თვალსაზრისით, 1990-იანი წლების დოქტრინებში მთავარი აქცენტი შემდგომ ფაქტორებზეა: 1. რუსეთის შიდა საქმეებში ჩარევა (1993 წლის დოქტრინიდან მოყოლებული). ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებიდან 1994 წელს, რუსეთის ფედერაცია ხშირად ხდებოდა საერთაშორისო დონეზე კრიტიკის ობიექტი, რაც რუსეთის ხელმძღვანელობის მხრიდან აღიქმებოდა როგორც ჩარევა მის შიდა საქმეებში; 2. სამხედრო ბლოკებისა და ალიანსების გაფართოვება. ამ კონტექსტში, რუსეთის ფედერაცია სასტიკად ეწინააღმდეგებოდა NATO-ს შესაძლო გაფართოვებას და მის რიგებში ყოფილი საბჭოთა სახელმწიფოების მოხვედრას (მოყოლებული 1993 წლის დოქტრინიდან); 3. საერთაშორისო მოთამაშეები მცდელობა, მოახდინონ საერთაშორისო დონეზე რუსეთის ინტერესების

[15] Ibid, p. 7

იგნორირება. ეს მოიცავდა ისეთ ქმედებებს, რომლებიც მიმართული იყო რუსეთის ფედერაციის გავლენიან და ძლიერ ძალის ცენტრად ფორმირების ხელშეშლისკენ.

გარდა ზემოხსენებული საფრთხეებისა, 1990-იან და შემდგომ წლებში შემუშავებულ დოქტრინებში ნახსენებია ისეთი საფრთხეები, როგორიცაა: ყველა მხრიდან მტრებით გარშემორტყმულ მდგომარეობაში აღმოჩენა, რაც დაკავშირებულია რუსეთის საზღვრებთან მზარდ სამხედრო აღმშენებლობასთან მეზობელ სახელმწიფოებში. გარდა ამისა, ყველა სამხედრო დოქტრინაში, რომელიც შემუშავებულა პოსტ-საბჭოთა პერიოდში, საუბარია საზღვარგარეთ მცხოვრები ეთნიკურად რუსების უფლებების შესაძლო დარღვევაზე, რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფრთხედაა აღქმული კრემლის მხრიდან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ არც ერთ დოქტრინაში არაა კონკრეტულად გაწერილი, თუ რა მეთოდებითაა დასაშვები ეთნიკურად რუსების უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეზობელ სახელმწიფოებში.[16]

1.1.2. შიდასაფრთხეები

აღსანიშნავია, რომ 1990 და 1992 წლებში, ანუ საბჭოთა კავშირის დაშლიდან მალევე, დოქტრინებში საერთოდ არ იყო მითითებული შიდა საფრთხეები. შიდა საფრთხეებზე საუბარი იწყება დოქტრინებში 1993 წლიდან მოყოლებული. კერძოდ, ამ შემთხვევაში საუბარია ისეთ შესაძლო საფრთხეებზე, როგორიცაა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისა და ქვეყნის შიდა ვითარების დესტაბილიზირების საფრთხე შიდა ეთნიკური, რელიგიური, სეპარატისტული და ტერორისტული მოძრაობების მიერ. ამ კონტექსტში აღსანიშნავია, რომ 1993 წლიდან მოყოლებული სამხედრო დოქტრინებში აღნიშნული საფრთხეების ხაზგასმა პირდაპირაა დაკავშირებული ჩეჩნების სეპარატისტულ მისწრაფებებთან და ჩეჩნეთის სამხედრო კამპანიებთან.

კიდევ ერთი შიდა საფრთხე, რომელიც ნახსენებია 1993 წლის დოქტრინაში არის - მცდელობები, მოხდეს კონსტიტუციური სისტემის ხელყოფა. ამ საფრთხეზე

[16] Ibid. pp. 8-10

ხაზგასმა უფრო დაკავშირებული იყო შიდა პოლიტიკურ დაპირისპირებასთან პრეზიდენტ ელცინსა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს შორის.[17] შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ 1993 წლიდან სამხედრო დოქტრინებში შიდა საფრთხეების ცალკე ქვეთავად გამოჩენა დაკავშირებული იყო ერთის მხრივ ელცინის დაპირისპირებით პარლამენტთან და მეორეს მხრივ, ჩეჩნების სეცესიონიზმით, რამაც ქვეყნის ხელმძღვანელობას აფიქრებინა, რომ შიდა საფრთხეები ცალკე ქვეთავად უნდა ყოფილიყო მითითებული ქვეყნის სამხედრო დოქტრინაში.

სამხედრო დოქტრინების სამხედრო-სტრატეგიული პრინციპების ქვეთავში, როგორც წესი, ჩამოთვლილია კონფლიქტების სახეები, რომლებმაც შესაძლოა საფრთხე შეუქმნან რუსეთის ფედერაციას. აღსანიშნავია, რომ ყველაზე დიდი საფრთხის შემცველი კონფლიქტების რიგითობა და პრიორიტეტები იცვლებოდა ქვეყნის შიგნით მიმდინარე მოვლენებისა და რუსეთის წინაშე არსებული საფრთხეების კვალდაკვალ. 1990 და 1992 წლის სამხედრო დოქტრინებში მთავარი კონფლიქტის სახედ, რომელმაც შეიძლებოდა საფრთხე შეექმნას რუსეთს მითითებული იყო გლობალური ბირთვული ომი, მას მოჰყვებოდა ფართომასშტაბიანი კონვენციური ომები და ადგილობრივი შეიარაღებული კონფლიქტები. 1993 წლის დოქტრინაში რიგითობა შეცვლილია: მთავარი აქცენტი კეთდება ადგილობრივ შეიარაღებულ კონფლიქტებზე, რომელთაც მოჰყვება გლობალური ომის საფრთხე. საინტერესოა, რომ 1999 წლის დოქტრინაში მთავარი აქცენტი გლობალურ ომზე კეთდება პირველ რიგში, თუმცა 2000 წლის დოქტრინაში ისევ, მთავარი აქცენტი შიდა დაპირისპირებასა და ომებზე კეთდება.[18] აღნიშნული ადვილი გასაგებია იმის გათვალისწინებით, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის ხელმძღვანელობა 1994 და 1999 წელს დადგნენ ჩეჩნეთთან ომების პირისპირ, მათ სტრატეგიულ დოკუმენტებში მთავარი აქცენტი გაკეთდა შიდა კონფლიქტებზე, როგორც საფრთხის მთავარ წყაროზე და გლობალურმა ომმა შედარებით უკან გადაიწია, თუმცა, ბუნებრივია, ისიც იყო ნახსენები ყველა რუსულ პოსტ-საბჭოთა სამხედრო დოქტრინაში. ჩეჩნეთის ომმა, ისევე როგორც

[17]რუსეთის 1993 წლისსამხედროდოქტრინა, https://fas.org/nuke/guide/russia/doctrine/russia-mil-doc.html
[18]Marcel de Haas (2001) An analysis of Soviet, CIS and Russian military doctrines 1990–2000, The Journal of Slavic Military Studies, 14:4, pp. 15-17.

პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში მიმდინარე შიდა ომებმა, რუსეთის ფედერაციას, დიდი ალბათობით, დაანახა, რომ მომავალში მისთვის მთავარი საფრთხის წყარო გახდებოდა არა გლობალური მასშტაბის ომი სხვა ზესახელმწიფოებთან (თუმცა ბუნებრივია ესეც არ იქნებოდა გამორიცხული), არამედ ბევრად უფრო რეალისტური იყო შიდა დაპირისპირების საფრთხე, მით უფრო თუ გავითვალისწინებთ როგორც რუსეთის ფედერაციის, ისე სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების ჭრელ ბუნებას ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობის თვალსაზრისით. ამის გათვალისწინებით, სამხედრო დოქტრინებშიც, შიდა საფრთხეების მნიშვნელობამ აიწია გლობალურ საფრთხეებთან შედარებით.

1.1.3. შეიარაღებულიძალებისმიზნები

ყველა სამხედრო დოქტრინაში განმარტებულია შეიარაღებული ძალების გამოყენების მიზნები: ომის პრევენცია; ოპონენტების/მოწინააღმდეგეების შეკავება; აგრესიის აღკვეთა; თავდაცვითი სტრატეგიის განხორციელება.

საბჭოთა კავშირის პერიოდში, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებული ძალები მოწოდებულნი იყვნენ დაეცვათ ქვეყანა საგარეო კონფლიქტებისგან, მაშინ როცა სხვა ძალოვანი უწყებების შეიარაღებული ფორმირებები ფოკუსირებულნი იყვნენ საბჭოთა კავშირის შიგნით არსებულ საფრთხეებზე. 1990-იანი წლების დოქტრინებში თავდაცვის სამინისტროს ძალები არ მოიაზრებოდნენ როგორც ქვეყნის შიდა უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ძალა. უფრო გვიანდელ, 2000 წლის დოქტრინაში პირველად გამოჩნდა ისეთი ახალი კონცეფციები, როგორიცაა „ერთობლივი სპეციალური სამხედრო მოქმედებები შიდა კონფლიქტებისა და ანტი-ტერორისტული ოპერაციების“ განხორციელების დროს.[19] ეს ცვლილებაც რუსულ სამხედრო დოქტრინებში მოჰყვა ჩეჩნეთის ომებს, რომლებმაც აჩვენეს კარგად კოორდინირებული,ერთობლივი ოპერაციების აუცილებლობათავდაცვის და სხვა ძალოვანი უწყებების შეიარაღებულ ფორმირებებს შორის, სასურველი სამხედრო მიზნების მისაღწევად. მომდევნო თავებსა და ქვეთავებში, სადაც განხილული იქნება რუსეთის ფედერაციის გამოცდილება პირველ და მეორე

[19]რუსეთისფედერაციის 2000 წლისსამხედროდოქტრინა, https://www.nti.org/analysis/articles/russias-2000-military-doctrine/

ჩეჩნეთის ომებში, ნაჩვენები იქნება, რომ ჩეჩნეთის პირველმა სამხედრო კამპანიამ დაანახა რუსეთის სამხედრო და პოლიტიკურ ხელმძღვანელობას, რომ სხვადასხვა უწყების შეიარაღებულ დანაყოფებს შორის იყო კოორდინაციისა დათანამშრომლობის მნიშვნელოვანი დეფიციტი, რამაც ხელი შეუწყო რუსეთის წარუმატებლობას ჩეჩენთის პირველ ომში. სწორედ ამით იყო განპირობებული 1994-1996 წლების შემდგომ სამხედრო დოქტრინებში მთავარი აქცენტის გაკეთება უწყებებსშორის თანამშრომლობასა და კოორდინაციაზე.

1.2. „ჩეჩნური“ სამხედროკამპანიებისთავისებურებებიდამათიგავლენასამხედროსტრატეგიებისდაგეგმარებაზე

1991 წელს როდესაც საბჭოთა კავშირი ისტორიას ბარდებოდა ჩეჩენმა ხალხმა საჰაერო ძალების გენერალ ჯოხარ დუდაევის ხელმძღვანელობით გამოთქვა სურვილი გამოყოფოდნენ რუსეთს და დამოუკიდებელ ქვეყნად ჩამოყალიბებულიყვნენ. ჩეჩნებმა 1990 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადეს, რასაც მოჰყვა დეკლარაციის მიღება დამოუკიდებლობის შესახებ და დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსი მიენიჭა. აღნიშნული ფაქტის წინააღმდეგი იყო რუსეთის ფედერაცია, რომელიც თვლიდა რომ დაუშვებელი იყო ჩეჩნეთის დამოუკიდებელ ერთეულად ცნობა.

ჩეჩნეთის ორივე სამხედრო კამპანია მიმართული იყო ჩეჩენი ხალხის მისწრაფების წინააღმდეგ, მოეპოვებინათ დამოუკიდებლობა რუსეთის ფედერაციისგან. ოფიციალური მოსკოვი შიშობდა რომ ვიეტნამის ომის დროინდელი „დომინოს ეფექტის“ კონცეფციის მსგავსად,თუ ჩეჩნეთი მიაღწევდა საწადელს, ამას მოჰყვებოდა სხვა ჩრდილოეთ კავკასიის ქვეყნების მხრიდან იგივე მოთხოვნების წამოყენება.[20]

1.2.1. ჩეჩნეთისპირველისამხედროკამპანია

[20] Timothy L. Thomas (2005) Russian Tactical Lessons Learned Fighting Chechen Separatists, Journal of Slavic Military Studies,p. 732.

ჩეჩნეთის პირველი კამპანია დაიწყო საიდუმლო ოპერაციის სახით,რომლის მიზანი იყო ჯოხარ დუდაევის ჩამოგდება და ლოიალური მთავრობის დასმა ჩეჩენი ოპოზიციური ძალების მხარდაჭერით, თუმცა ამ გეგმის ჩავარდნის შემდეგ რუსეთის ფედერაციამ ჯარი შეიყვანა ჩეჩნეთში, რასაც ჩეჩნების მხრიდან ჯარისა და მოხალისეების მობილიზება მოახდინა და რომლებიც ჩაერთვნენ საბრძოლო მოქმედებში.

ჩეჩნურ შეიარაღებულ ძალებს მაღალი მოტივაციის მქონე მებრძოლები წარმოადგენდნენ,რომლებსაც საბჭოთა ჯარის საბრძოლო ბატალიონებში ჰქონდათ ნამსახურები, ფლობდნენ რუსულ ენას და ჰქონდათ კარგი ცოდნა ადგილობრივი გეოგრაფიისა და რელიეფის. ჩეჩნური ქვედანაყოფები დაყოფილი იყვნენ 15-20 კაციან რაზმებად, რომლებიც თავის მხრივ 3-4 კაციან ჯგუფად იყოფოდა. აღნიშნული ჯგუფი დაკომპლექტებული იყო ტანკსაწინააღმდეგო რეაქტიული ყუმბარმყორცნელი სამხედრო პირებით, რომელიც თავის მხრივ შეიარაღებულბი ივნენ რუსული წარმოების „რპგ7“ და „რპგ-18“ -ის ტიპის ყუმბარტყორცნებით.ამავე ჯგუფში შედიოდასნაიპერი და მეტყვიამფრქვევე. ამ ძალთა სტრუქტურით დაკომპლექტებული რამოდენიმე ჯგუფი განლაგდებოდა მიწის ზედაპირსა და მაღალ სართულებზე ხოლო სარდაფში მეტყვიამფრქვევეები და სნაიპერები ახდენდნენ ქვეითების განადგურებას, ხოლო ტანკსაწინააღმდეგო გათვლები ანადგურებნენ რუსული ქვედანაყოფების მექანიზირებულ ქვედანაყოფებს, რადგანაც რუსულ ჯავშანტექნიკას „ტ-72“ ის ტიპის ტანკებსა და ქვეითთა საბრძოლო მანქანებს არ შეეძლოთ ქვემეხის იმ მიმართულებით გასროლების წარმოება სადაც იყვნენ განლაგებული ჩეჩენი მებრძოლები.

უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ჩეჩენი მებრძოლები არ გამოირჩეოდნენ მაღალი დისციპლინით და არ ჰქონდათ რაიმე სახის იერარქიული სტრუქტურა, ისინი მხოლოდ მათ უშუალო მეთაურებს ემორჩილებოდნენ. ჩეჩნურ მხარეს ასევე იბრძოდნენ უცხო ქვეყნებიდან ჩასული მებრძოლები, მათ ფაქტიურად არ გააჩნდათ ავიაცია,რადგანაც რუსული საჰაერო ძალები ბატონობდნენ ჩეჩნეთის ცაზე,ასევე ძალიან მწირი რესურსი გააჩნდათ ჯავშანტექნიკის კუთხით.

ჩეჩნების სწორი და აგრესიული ტაქტიკა რუსებისათვის მოულოდნელი აღმოჩნდა და შესაბამისად ყოველი მეათე ტანკი დაკარგეს, რუსი სამეთაურო რგოლი დარწმუნებული იყო, რომ სატანკო კოლონების გამოყენებით ძალიან მალე დაამარცხებდნენ ჩეჩნებს.

თანამედროვე დასახლებულ რაიონში ბრძოლის მაგალითს წარმოადგენს გროზნოს ბრძოლა,რომლის მწარე გაკვეთილების შედეგად რუსულმა არმიამ შეცვალა მიდგომა როგორც ტაქტიკურ, ასევე ოპერატიულ და სტრატეგიულ დონეზე.

გროზნოს ბრძოლები რუსული ქვედანაყოფების მხრიდან ნავთობის საცავებზე წარმოებული იერიშით დაიწყო, პარალელურად ვრცელდებოდა საინფორმაციო ფურცლები დანებების მოწოდებებით. რუსეთის მაშინდელი თავდაცვის მინისტრი გრაჩოვი აცხადებდა, რომ გროზნოს სულ რამოდენიმე საათში აიღებდა.

გროზნოს ბრძოლების მიმდინარეობისას ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი შეტაკებები რუსეთისთვის გროზნოში პირველი მაისის ქუჩაზე მიმდინარეობდა. ჩეჩნები განლაგებულნი იყვნენ საცხოვრებელი კორპუსების სარდაფებსა და სახურავებზე საიდანაც, ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებიდან ცეცხლს ხსნიდნენ, როგორც წესი კოლონისა და ჩამკეტ ჯავშანტექნიკის მიმართულებით.[21] ამ შემთხვევაში კოლონა ვერ ახერხებდა წინსვლას და ვერც სასიკვდილო ზონიდან გასვლას. ჩეჩენმა მებრძოლებმა ფაქტიურად მიწასთან გაასწორეს რუსების მთლიანი პოლკი, მიწასთან გასწორების შემდეგ ჩეჩენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს ინიციატივა და დაიწყეს დანარჩენი კოლონის ჯავშანტექნიკაზე ნადირობა, თან წაიღეს შეიარაღება და აღჭურვილობა რაც ხანძარს გადაურჩა, საღამოსკენ მათ გადაჯგუფება განახორციელეს, თავი მოიყარეს და გადაადგილება დაიწყეს რკინიგზის მიმართულებით. გადარჩენილმა რუსმა სამხედროებმა რკინიგზის სადგურზე არსებულ შენობას შეაფარეს თავი, რასაც ჩეჩნებმა ცეცხლი წაუკიდეს. განწირულმა რუსული ძალების მეთაურმა პოლკოვნიკმა ივან სავინმა არაერთხელ

[21]საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ჩეჩნეთის მეორე ომი“, 2009 წელი, გვ. 24-25.

მოითხოვა არაპირდაპირი და პირდაპირი ცეცხლით დახმარება თუმცა მათ დახმარება არ მიუღიათ.

აღნიშნული დახმარების გაწევა ვერ მოხერხდა, რადგანაც სხვა ქვედანაყოფებს არ ჰქონდათ სამოქმედო გეგმა და მოუმზადებლები იყვნენ. ცნობილი ფაქტია რომ სპეციალური დანიშნულების ქვედანაყოფის ჯარისკაცები ჩეჩნებს ტყვედ ჩაბარდნენ. „სამი დღის განმავლობაში უიმედო ხეტიალის შემდეგ, საკვების გარეშე დარჩენილებმა, მათ მიიღეს ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება, რადგან არ იცოდნენ რა უნდა ექნათ - ეს ციტატა ტყვეობიდან დაბრუნებულ რუს ვიცე-პოლკოვნიკს ეკუთვნის. მისი თქმით, "ერთადერთი ბრძანება იყო წინსვლა ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე იმის შესახებ, თუ რა უნდა გაეკეთებინათ, სად უნდა წასულიყვნენ და ვინ უნდა შეეპყროთ".[22]

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ჩეჩნეთის პირველი კამპანიის პერიოდში, რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ იმ დროისთვის ვერ მოახერხა საკმარისი რაოდენობის შეიარაღებული ძალების მობილიზება. 1994 წლის დეკემბრისთვის, სულ მობილიზებული იყო 23 700 კარისკაცი ჯამში (19 000 თავდაცვის სამინისტროდან, 4 700 შინაგან საქმეთა სამინისტროდან).[23]

მართალია, რუსეთის სამხედრო ძალებმა შეძლეს გროზნოს აღება 1995 წელს, თუმცა, მალევე, ჩეჩენი მებრძოლები გადაჯგუფდნენ პარტიზანულ დაჯგუფებებში და ამ სახით გააგრძელეს რუსეთის რეგულარული არმიის წინააღმდეგ ბრძოლა.[24]

ჩეჩნეთის პირველი სამხედრო კამპანია რუსეთის ფედერაციის წარუმატებლობით დასრულდა. 1996 წლის აგვისტოში 5000 ჩეჩენი ამბოხებული შეიჭრა ჩეჩნეთის დედაქალაქ გროზნოში, რომელიც რუსეთის შეიარაღებული ძალების მიერ იყო ოკუპირებული 1995 თებერვლიდან, მათ მოახერხეს რუსეთის შინაგან სამინისტროს 10 000 ჯარისკაცი დაენაწევრებინათ და მათი მცირე ჯგუფებისთვის გაეწიათ წინააღმდეგობა. ეს მოულოდნელი კონტრ-შეტევა განხორციელდა შეიარაღებული შეტაკებებიდან 20 თვის შემდეგ, მაშინ როცა რუსი

[22]საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ბრძოლა დასახლებულ რაიონში", 2009 წელი.
[23] Martin Malek, Russia's Asymmetric Wars in Chechnya since 1994, Connections, Vol. 8, No. 4, p. 84-87.
[24] Daniel T. Canfield, The Russian Chechen Wars: Three Lessons for US Defense Planners, 2008, p. 102.

მაღალჩინოსნები ირწმუნებოდნენ, რომ ჩეჩენთა წინააღმდეგობის ძალები განადგურებული იყო. 1996 ნოემბერში რუსეთის დამარცხებული და დემორალიზებული არმია გავიდა რესპუბლიკის ტერიტორიიდან.

1996 წელს, ჩეჩენთა კონტრ-შეტევის მომენტისთვის, რუსი გენერლები ირწმუნებოდნენ, რომ ისინი გროზნოს გათავისუფლებას მხოლოდ მასიური საჰაერო დაბომბვებითა და ქალაქის სრული განადგურების შემთხვევაში მოახერხებდნენ. იმ მომენტისთვის, რუსი სამხედროები და პოლიტიკური ელიტა ამ სცენარს არ დასთანხმდა. ეს გადაწყვეტილება შესაძლებელია განპირობებული ყოფილიყო იმითაც, რომ იმ დროისთვის გროზნოში ჩარჩენილი იყო შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი და დაბომბვებზე წასვლა მათ განადგურებასაც გამოიწვევდა.[25]

იმ მრავალ ფაქტორთა შორის, რამაც განაპირობა რუსი სამხედროების წარუმატებლობა ჩეჩნეთის პირველი სამხედრო კამპანიის პერიოდში, უნდა აღინიშნოს შემდეგი მომენტები: ჩეჩნეთში გაგზავნილი ქვედანაყოფები არ იცნობდნენ ერთმანეთს, მათ არასდროს არ გაევლოთ ერთობლივი წვრთნები და სწავლებები, ასევე მანამდე არ ჰქონიათ გამოცდილება ერთობლივი ოპერაციების დაგეგმვისა და განხორციელების. ჩეჩნეთში შეყვანილი ძალები წარმოადგენდნენ სხვადასხვა უწყებებს (თავდაცვის სამინისტრო და შინაგან საქმეთა სამინისტრო) და არ გააჩნდათ ინტეროპერაციული კომუნიკაციის გამოცდილება, არც საერთო დოქტრინები და სამოქმედო გეგმები. შესაბამისად, ექსპერტთა შეფასებით, ჩეჩნეთის პირველი სამხედრო კამპანიის პერიოდში, რუსეთის სამხედრო და უსაფრთხოების აპარატი არაეფექტურად ფუნქციონირებდა.[26]

1.2.2. ჩეჩნეთისმეორესამხედროკამპანია

საინტერესოა, რომ ჩეჩნეთის მეორე სამხედრო კამპანიის პერიოდში რუსეთის შეიარაღებული ძალების მიდგომები შეიცვალა და როგორც სამხედრო სტრატეგიამ აჩვენა, ისინი მზად იყვნენ, მიემართათ ჩეჩნეთის ქალაქებისა და სოფლების

[25] Pavel Felgenhauer, Russian Strategy in the Chechnya Wars, p.2
[26] Geohistory, Military Learning Between the Chechen Wars, 24 October 2006, https://geohistory.today/military-learning-chechen-wars/

ფართომასშტაბიანი დაბომბვებისთვის. როცა რუსეთის შეიარაღებული ძალები შევიდნენ ჩეჩნეთში 1999 წლის ოქტომბერში, რუსი გენერლები და პოლიტიკური ელიტა კრემლში ირწმუნებოდა, რომ წინა სამხედრო კამპანიიდან გამოტანილ იქნა შესაბამისი დასკვნები და ახალი ომი სხვაგვარად წარიმართებოდა მათ მიერ. ისინი აცხადებდნენ, რომ ჩეჩენი „ტერორისტები“ პასუხს აგებდნენ მათი ქმედებების გამო.

რუსეთის მთავარი სამხედრო ინოვაცია ჩეჩნეთის მეორე ომის დროს იყო ბევრად მრავალრიცხოვანი სამხედრო ძალების შეყვანა რეგიონში, ვიდრე ამას ჰქონდა ადგილი 1994-1996 წლებში და ყველა სახის, ხელმისაწვდომი შეტევების გამოყენება ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე. აღნიშნულ შეტევებში მოიაზრებოდა ჩეჩენი შეიარაღებული აჯანყებულებისა და მოქალაქეების ერთნაირად, ფართომასშტაბიანად განურჩეველი დაბომბვა მანამ, სანამ ისინი საბოლოოდ არ დანებდებოდნენ რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალებს.ჩეჩნეთის მეორე კამპანია 1999 წლის ოქტომბერში დაიწყო, რასაც 1999 წლის აგვისტოში წინ უძღოდა ჩეჩენი მებრძოლების შეჭრა მეზობელი დაღესტნის რესპუბლიკის ტერიტორიაზე, ერთობლივი სახელმწიფოს შექმნის მიზნით.[27]

რუსეთის ხელისუფლება დიდი ხნის განმავლობაში ემზადებოდა ჩეჩნეთის მეორე ომისათვის, სამხედრო მაღალჩინოსნების უმრავლესობა თვლიდა, რომ მათ ჩეჩნეთის პირველ ომში გამარჯვება ხელიდან გამოგლიჯეს პოლიტიკური ხელმძღვანელობის ღალატის შედეგად და ჩეჩნეთთან მეორე ომი არა თუ საჭირო, არამედ აუცილებელიც კი იყო. რეალურად რუსეთის ფედერაციამ ჩეჩნეთის მეორე ომისათვის მზადება პირველი ომის დასასრულიდანვე დაიწყო.

რუსულმა სპეცსამსახურებმა მოახერხეს ჩეჩნეთში ისეთი ვითარების შექმნა რომ პრეზიდენტ მასხადოთან რაიმე სახის კავშირი შეიძლებოდა სიცოცხლის ლიკვიდაციით დასრულებულიყო. რუსეთმა მთავარ მიზანს მიაღწია ჩეჩნეთის იზოლაციაში მოქცევით, რასაც საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან ნაკლები ყურადღების დათმობა და ბოლოს საკითხის გადავიწყება მოჰყვა. ჩეჩნეთის

[27] Rajan Menon, Graham E. Fuller, Russia's Ruinous Chechen War, March/April 2000, Foreign Affairs, https://www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2000-03-01/russias-ruinous-chechen-war

მთავრობის გეგმებში არ შედიოდა რუსეთის ფედერაციასთან ახალი ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებების განახლება, რასაც ადასტურებს ასლან მასხადოვის მიერ დაგმობილი ჩეჩენი საველე მეთაურის შეჭრა დაღესტანში 400 მებრძოლით.

ისტორიკოსმა და ჟურნალისტმა ჯონ ბეჩერ ეიჩროდტმა, რომელიც ჩეჩნეთში იმყოფებოდა პირველი ომის პერიოდში განაცხადა:

„დაღესტანის კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გადმოცემისას, როგორც რუსული, ისე უცხოური მასმედია უმეტეს შემთხვევაში იყო მიკერძოვებული. საერთაშორისო ჟურნალისტური ორგანიზაციები, რომლებიც ჩეჩნეთში საკმაოდ მობილიზირებულნი იყვნენ, არ აღმოჩნდნენ ადგილზე, ეს ფაქტი აიხსნა გატაცების საფრთხის არსებობით. დამოუკიდებელი საინფორმაციო წყაროები და ინტერნეტში განთავსებული მასალა ძირითადად რუსეთის სამხედრო შტაბებისა და დაღესტნის ოფიციალური წყაროებით მიღებულ ინფორმაციას ეყრდნობოდა.“[28]

შამილ ბასაევის დაღესტანში შეჭრა ერთ-ერთი მიზეზი და გამომწვევი ფაქტორი გახდა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ჟურნალისტთა სიმპატიების დაკარგვისა ჩეჩენი მებრძოლების მიმართ. გარდა ამისა ჩეჩნებმა ბევრი დამოუკიდებელი ჟურნალისტი გაიტაცეს, ასევე უსამართლოდ ხდებოდა სხვა გატაცებებიც, მაგალითად წითელი ჯვრის თანამშრომლების გატაცება რომლებიც დაზარალებულ მოსახლეობას ეხმარებოდნენ ან ბრიტანელი ბიზნესმენების გატაცება რომელთა ჩასვლის მიზანი ჩეჩნეთში ინვესტიციების განხორციელება იყო. შესაბამისად ჩეჩნებს ყველა აგრესორად თვლიდა რასაც რუსული სპეცსამსახურები მასმედიის გამოყენებით კარგად იყენებდნენ.

უნდა ავღნიშნოთ, რომ საბოლოო ჯამში რუსულმა მხარეებ ამოცანა შეასრულა და ჩეჩნური მხარე აგრესორად წარმოაჩინა, ბასაევის მიერ ჩატარებულმა ტერორისტულმა აქტებმა არა მარტო რუსული მედიის ფარგლებში გაიჟღერა

[28] ვ. მოდებაძე, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები, https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

არამედ მსოფლიო მედია მოიცვა და მსოფლიოს „ჩეჩენი ხალხის სახე“ დაანახა. აღნიშნულმა კადრებმა თავის მხრივ გამოიწვია აგრესია რუსეთის მოქალაქეებს შორის და ასევე მსოფლიო მასმედიის თვალში ჩეჩნეთი ტერორიზმთან გაიგივდა.

გახშირებულმა გატაცებებმა და ადამიანის უფლებების დარღვევებმა,რადიკალურად შეამცირა ჩეჩნეთში დასავლური მედიის ვიზიტები, რადგანაც ჩეჩნეთი აღარ აღიქმებოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ხალხად და შესაბამისად მსოფლიო მასმედია რუსულ წყაროებს ეყრდნობოდა ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გაშუქებისას.

ასლან მასხადოვმა თხოვნით მიმართა დასავლურ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომ მათი მხრიდან მომხდარიყო ჩართულობა რუსეთთან მოლაპარაკებების პროცესებში,თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი რომ შამილ ბასაევს და მისდამი დაქვემდებარებულ მებრძოლებს სულ სხვა ტაქტიკა ჰქონდათ არჩეული რუსეთთან საბრძოლველად. მას განზრახული ჰქონდა შეექმნა ისლამური სახელმწიფო, თუმცა რუსულმა მხარემ ბასაევის დაღესტანში შეჭრა კარგად გამოიყენა კიდეც ჩეჩნეთში შეჭრის ერთ-ერთ მთავარ მიზეზად.[29]

რუსული ინტერნეტ გაზეთი “რია ნოვოსტი“ ეხმაურება შამილ ბასაევისა და მისი თანამებრძოლების მიერ მომზადებულ ტერაქტებს:

„იმის გათვალისწინებით, რომ მასხადოვს არანაირი უნარი არ ჰქონდა გაეკონტროლებინა სიტუაცია ჩეჩნეთში, რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობა იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება, რომ დაეწყო სპეც ოპერაცია ჩეჩენი ბოევიკების გასანადგურებლად ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. 18 სექტემბერს ჩეჩნეთის საზღვარი იყო ბლოკირებული რუსეთის ჯარის მხრიდან. 23 სექტემბერს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანებულება რომელიც იუწყებოდა ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებაზე რუსეთის ჩრდილო კავკასიის რეგიონში“.[30]

---

[29] ვ. მოდებაძე, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები, https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

[30]“ რია ნოვოსტი”, Конфликты между РФ и Чеченской Республикой в 1994-1996/1999-2009 годы, 18 აპრილი 2018, https://ria.ru/20110418/365668402.html

დაღესტანში შეჭრასთან ერთად რუსეთის ტერიტორიაზე რამოდენიმე ტერაქტი განხორციელდა, კერძოდ მოხდა რამოდენიმე საცხოვრებელი კორპუსის აფეთქება. რაც რუსეთმა თავის სასარგებლოდ გამოიყენა ჩეჩნეთში შეჭრის საბაბად. რუსი დისიდენტის ლიტვინენკოს წიგნის მიხედვით, საცხოვრებელი კორპუსები რუსეთის სპეცსამსახურების მიერ იყო აფეთქებული, ასევე რადიკალურად განწყობილი შამილ ბასაევის და მისი მომხრეების შეჭრა დაღესტანში,რუსეთის ჩართულობით განხორციელდა. მისი განცხადებით, პუტინმა ეს გამოიყენა რათა რუს მოსახლეობაში შეეცვალა არსებული წარმოდგენა ჩეჩენ ხალხზე და გაემძაფრებია ანტი ჩეჩნური განწყობა.

ჩეჩნეთში რუსეთის ფედერაციის შეჭრისკიდევ ერთ მიზედად შეიძლება დავასახელოთ ჩეჩნეთის ენერგორესურსები, რომლებიც არ იყო რუსეთისათვის უმნიშვნელო. გარდა ამ ფაქტორისა, ჩეჩნეთის მდებარეობა საკმაოდ საკვანძოა და მნიშვნელოვან ადგილმდებარეობას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციისათვის,რადგანაც კასპიის ენერგორესურსების შეტანა რუსეთში სწორედ ჩეჩნეთის გავლით ხდება.

ვლადიმერ პუტინის ხელისულებამ ასლან მასხადოვის ხელისუფლება არალეგიტიმურად სცნო და შესაბამისად გასცა ბრძანება რუსეთის შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფებს დაეწყოთ გადაადგილება ჩეჩნეთის მიმართულებითდა პარალელურად გაიჟღერა პუტინის განცხადებამ, მან სწრაფი გამარჯვება დააანონსა რაც მისი საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების მომტანი აღმოჩნდა. ამ ყოველივეს საპასუხოდ ასლან მასხადოვის მიერ საღვთო ომის გამოცხადება მოყვა. მას შემდეგ რაც ის მიხვდა, რომ რუსეთთან ფართომასშტაბიანი საომარი მოქმედებები გარდაუვალი იყო, ჩეჩნურმა მხარემ დაიწყო მზადება თავდაცვითი ოპერაციებისათვის და მოახდინა მებრძოლთა მობილიზება.[31]

საომარი მოქმედებები რუსეთს არ დაუწყია სახმელეთო ჯარების პირდაპირი შეტაკებებით ჩეჩენ მებრძოლებთან, მათ დაიწყეს არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენება მასირებული საავიაციო და არტილერიის ცეცხლის

[31] ვ. მოდებაძე, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები, https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

გამოყენებით. აღნიშნული ტოტალური შეტევის შედეგადჩეჩნეთის მოსახლეობამ დაიწყო მასიურად ქვეყნის დატოვება. ოფიციალური მონაცემებით ასი ათასმა ადამიანმა ინგუშეთის მიმართულებით დაიწყო გადაადგილება. ინგუშებს არ გააჩნდათ პირველადი დახმარებისა და სხვა საჭირო საშუალებები რომლების ლტოლვილებს სწირდებოდათ და შესაბამისად მათ გართიანებული ერების ორგანიზაციას მიმართეს დახმარებისათვის.

ჩეჩნეთის მეორე ომის მიმდინარეობისას რუსულმა ავიაციამ და არტილერიამ კომბინირებული არაპირდაპირი ცეცხლის გამოყენებით ფაქტიურად მიწასთან გაასწორა ჩეჩნეთის დედაქალაქი, რის გამოც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ჩეჩნეთი ყველაზე დანგრეულ ქალაქად აღიარა.

რესეთის ფედერაციის არმიის სამეთაურო რგოლის გათვლებით, რამოდენიმე დღეში ქალაქი მათ მიერ გაკონტროლდებოდა და წინააღმდეგობა შეწყდებოდა, თუმცა მათ მოლოდინები არ გამართლდა. გროზნო წინააღმდეგობის კერად და აუღებელ ციხესიმაგრედ გადაიქცა. რუსულ ჯარში არსებულმა მასიურმა მსხვერპლმარუსებს ტაქტიკა შეაცვლევინა, ისინი ქალაქის გარშემო განლაგდნენ და მისი იზოლირება სცადეს. თუმცა ორთვიანმა ალყამ შედეგი ვერ გამოიღო. ჩეჩნებმა წარმატებით გაარღვიეს ალყა და სამხრეთით გადაინაცვლეს. ჩეჩნების გათვლით, მათ დროებით გადაინაცვლეს მაღალმთიან ტყიან მასივებში, რადგან მოეხდინათ კონსოლიდაცია/რეორგანიზაცია, რის შემდეგაც გროზნოში დაბრუნდნებოდნენ. გროზნოს დაცემის შემდეგ რუსებმა კონტროლის არეალი საკმაოდ გააფართოვეს, თუმცა ჩეჩენთა მხრიდან წინააღმდეგობა არ შეწყვეტილა. მასხადოვის დაქვემდებარებულებმა ჩეჩნეთის სამხრეთით, მთებში გააგრძელეს პარტიზანული ბრძოლები. მათ დაიწყეს მცირე ზომის ქვედანაყოფების ჩამოყალიბება, რომლებმაც რუსულ ქვედანაყოფებზე მოულოდნელი თავდასხმების ორგანიზება დაიწყეს.[32]

უნდა აღინიშნოს, რომ პირველი სამხედრო კამპანიისგან განსხვავებით, მეორე კამპანია ბევრად უფრო მეტად დაგეგმილი და გათვლილი იყო. 2000 წლის 14

[32] ვ. მოდებაძე, რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები, https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

იანვარს გამოქვეყნებულ ინტერვიუში, რუსეთის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, სერგეი სტეპაშინმა განაცხადა, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთში სამხედრო ქმედებების გატარება გადაწყვიტა ჯერ კიდევ 1999 წლის მარტში.[33] თუმცა, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ერთ-ერთ ოფიციალურ მიზეზად ჩეჩნეთში შეჭრისთვის გამოყენებულ იქნა 1999 წლის სექტემბერში მოსკოვში მომხდარი საცხოვრებელი კორპუსების აფეთქება. ამ აფეთქებების შედეგად სულ მცირე 200 ადამიანი დაიღუპა და ბევრად მეტი დაშავდა. აფეთქებებიდან მალევე, მოსკოვის მერმა, იური ლუჟკოვმა განაცხადა, რომ აღნიშნული აფეთქებების უკან ჩეჩენი მებრძოლები იდგნენ. შინაგან საქმეთა მინისტრმა, ვლადიმირ რუშაილომ, რომელიც აფეთქებების გამოძიებას ხელმძღვანელობდა, ხელი ჩეჩნებისკენ გაიშვირა.[34] თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩენ სეპარატისტებს არ აუღიათ პასუხისმგებლობა აღნიშნულ აფეთქებებზე და გარდა ამისა, ბევრი დღემდე საეჭვოდ მიიჩნევს, თუ რამდენად იდგნენ ჩეჩნები საერთოდ ამ აფეთქებების უკან.

რუსი ოფიციალური პირები, ისევე როგორც კრემლის მიერ კონტროლირებული მედია საშუალებები ჩეჩნეთის სამხედრო კამპანიას მოიხსენიებდნენ არა როგორც ომს, არამედ როგორც ანტი-ტერორისტულ ოპერაციას. პირველი ომისგან განსხვავებით, როცა ხელმძღვანელობა ხშირად საუბრობდა ჩეჩნეთში საკონსტიტუციო წესრიგის აღდგენის საჭიროებაზე, მეორე კამპანიის პერიოდში საუბარი იყო ძირითადად ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაზე. კრემლი იგნორირებას უკეთებდა ყოველგვარ რეგიონალურ, ეთნიკურ თუ პოლიტიკურ ფაქტორებს, რამაც გამოიწვია კონფლიქტი და ძირითადად საუბრობდა ტერორიზმზე. აჯანყებულების „ტერორისტებად“ და „ბანდიტებად“ მოხსენიებით რუსეთის ხელმძღვანელობა ცდილობდა, რომ მოეხდინა მათი დისკრედიტირება როგორც რუსეთის შიგნით მოსახლეობის თვალში, ისე საერთაშორისო დონეზე. აშშ-ზე 2011 წლის 11 სექტემბერს განხორციელებული ტერორისტული თავდასხმების შემდეგ, კრემლი ჩეჩნეთის ომს წარმოადგენდა როგორც საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნაწილს. ოფიციალური

[33] Pavel Felgenhauer, Russian Strategy in the Chechnya Wars, p. 3
[34] Stratfor, Who Gains from the Moscow Apartment Bombings? September 14, 1999, https://worldview.stratfor.com/article/who-gains-moscow-apartment-bombings

პირები აცხადებდნენ იმასაც, რომ მათი მოწინააღმდეგე ჩეჩენი აჯანყებულები იმართებოდნენ გარედან, მათ შორის ალ-ქაედას მიერ. შესაბამისად, უნდა აღინიშნოს, რომ ჩეჩენ აჯანყებულებს ბევრად მცირე მხარდამჭერი ჰყავდა როგორც რუსეთში, ისე მის ფარგლებს გარეთ მეორე ომის პერიოდში.[35]

მეორე ომის პერიოდში, რუსეთის თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა მოახდინეს ბევრად დიდი რაოდენობის სამხედრო ძალების მობილიზება, ვიდრე პირველი კამპანიის პერიოდში, 1994-1996 წელს. 2000 წლის იანვარში, თავდაცვის სამინისტროს 57 000 და შინაგან საქმეთა სამინისტროს 36 000 ჯარისკაცი ღებულობდა მონაწილეობას (ჯამში 100 000 ჯარისკაცამდე). აღსანიშნავია, რომ გარდა ამ ძალებისა, რუსეთის შეიარაღებული ძალების გვერდით იბრძოდნენ ჩეჩნეთის პრორუსული ადმინისტრაციის მომხრეები, რომლებიც წინააღმდეგნი იყვნენ აჯანყებული ჩეჩნების. შესაბამისად, 1999 წელს, 1994-1996 წლებთან შედარებით, დაახლოებით ორჯერ მეტი სამხედრო ძალა იყო მობილიზებული. ამავე პერიოდში, ჩეჩენი აჯანყებულების მიერ მობილიზებულ იქნა დაახლოებით 40 000 ჯარისკაცი.[36]

თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ სამხედრო ექსპერტები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული შეიარაღებული ძალები მაღალი პროფესიონალიზმით არ გამოირჩეოდნენ არც ჩეჩნეთის მეორე ომის დროს, შესაბამისად, ამ სისუსტის კომპენსირების მიზნით, რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელმა პირებმა შეიმუშავეს შემდეგი სტრატეგია: ჩეჩნეთის მძიმედ დაბომბვა იმ მომენტამდე, ვიდრე გამარჯვებას მოიპოვებდნენ, მნიშვნელოვანი დანაკარგების გარეშე საკუთარ შეიარაღებულ ძალებში.[37]

თუ პირველი ომის დროს შეიარაღებული ძალები შედიოდნენ ჩეჩნეთის ქალაქებსა და სოფლებში და საჰაერო ძალები გამოიყენებოდა მხოლოდ მათ გასამაგრებლად ამ ლოკაციებში, მეორე ომის პერიოდში, მიდგომა სრულად განსხვავდებოდა ამისგან. საჰაერო ძალებზე მოდიოდა ყველაზე დიდი დატვირთვა იმ გათვლით,

---

[35] Martin Malek, Russia's Asymmetric Wars in Chechnya since 1994, Connections, Vol. 8, No. 4, p. 91.
[36]Ibidp. 88.
[37] Paul Mutter, The Chechen Wars Cast a Long Shadow, March 29, 2015, https://medium.com/war-is-boring/the-chechen-wars-cast-a-long-shadow-7b058a84ffe9

რომ ჩეჩენი აჯანყებულები წინ ვერ დაუდგებოდნენ ამ ძალას. გასათვალისწინებელია, რომ ამ სტრატეგიამ ძალიან დიდი მსხვერპლი გამოიწვია სამოქალაქოებიც.

კიდევ ერთი განსხვავება ჩეჩნეთის პირველ და მეორე სამხედრო კამპანიებს შორის იყო ის, რომ მეორე ომის დროს ვლადიმირ პუტინმა გადაწყვიტა სამხედრო სტრატეგიის გადაწყობა და საჰაერო თავდასხმების პარალელურად, ადგილზე სამხედრო ოპერაციების ჩატარებისას მთავარი მოთამაშის როლის მინიჭება თავად ლოიალური ჩეჩენი მებრძოლებისთვის, რომლებიც თანახმანი იყვნენ, ჩეჩნეთი დარჩენილიყო რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. სხვა სიტყვებით, ამ მიდგომის მთავარი მიზანი იყო, მოეხდინა კონფლიქტის „ჩეჩენიზაცია." გამომდინარე იქედან, რომ ლოიალური ადგილობრივები კარგად იცნობდნენ ჩეჩნეთის გეოგრაფიას და მათი მოწინააღმდეგე ჩეჩენი მებრძოლების საბრძოლო ტაქტიკას, აღნიშნული ინიციატივა საკმაოდ ეფექტური აღმოჩნდა.[38]

მეორე ომის დასასრულს, როცა ნათელი გახდა, რომ ჩეჩენი აჯანყებულები ვერ გაუწევდნენ შესაბამის წინააღმდეგობას რუსეთის რეგულარულ არმიასა და საჰაერო ძალებს, მათ მოახდინეს სტრატეგიის ცვლილება, გადავიდნენ რა თვითმკვლელთა შეტევების განხორციელებაზე რუსეთის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგ. ერთ-ერთი ყველაზე დიდი შეტევა განხორციელდა 2002 წლის 27 დეკემბერს, როცა ასაფეთქებელი ნივთიერებით დატვირთული ორი სატვირთო მანქანა აფეთქდა გროზნოში რუსეთის მხარდამჭერი ჩეჩნეთის ადმინისტრაციის შენობის წინ, რასაც 70 ადამიანის სიკვდილი მოჰყვა. მიუხედავად იმისა, რომ 2000-იანების დასაწყისში რუსეთმა გამოაცხადა გამარჯვება ჩეჩნეთის წინააღმდეგ ომში, ჩეჩენი პარტიზანების შეტევები და თვითმკვლელთა აფეთქებები კიდევ დიდი ხანი გრძელდებოდა რუსეთის წინააღმდეგ.[39]

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთის მეორე ომის პერიოდში შეიმუშავა პირველი ომისგან განსხვავებული ტაქტიკა.

---

[38] Stratfor, Putin's New Strategy Short of Breakthrough in Chechnya, May 21, 2003, https://worldview.stratfor.com/article/putins-new-strategy-short-breakthrough-chechnya

[39] Martin Malek, Russia's Asymmetric Wars in Chechnya since 1994, Connections, Vol. 8, No. 4, p.94.

სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობის მისაღებად გაგზავნილ იყვნენ შედარებით უკეთ გაწვრთნილი სამხედრო ძალები, ბევრად აქტიურად და მასშტაბურად იყო გამოყენებული განურჩეველი საჰაერო დაბომბვები, რომელმაც ძალიან დიდი ზარალი მიაყენა როგორც მებრძოლებს, ისე ჩეჩენ სამოქალაქო პირებს. გარდა ამისა, რუსეთის ლიდერებმა მეორე ომის პერიოდში ბევრად დიდი სამუშაო გასწიეს ჩეჩენი მებრძოლების დისკრედიტირების მიზნით როგორც რუსეთის მოქალაქეების, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში.[40]

1.3. გერასიმოვისდოქტრინადამისიგეოპოლიტიკურიპარამეტრები

რუსეთის სამხედრო მოღვაწის, ვალერი გერასიმოვის დოქტრინა, რომელიც თავდაპირველად გამოქვეყნდა 2013 წლის თებერვალში, ახდენს სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების გადაფასებას და სამხედრო მოქმედებებს აყენებს ერთ დონეზე პოლიტიკურ, ეკონომიკურ, საინფორმაციო, ჰუმანიტარულ და სხვა სახის ღონისძიებებთან. ტერმინ „გერასიმოვის დოქტრინის“ დამკვიდრებას წინ უძღოდა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, ვალერი გერასიმოვის მოხსენებით გამოსვლა რუსეთის სამხედრო მეცნიერებათა აკადემიის მსმენელების წინაშე. გერასიმოვის დოქტრინა წარმოადგენს პასუხს ფერად რევოლუციებზე, როგორც რუსეთის მეზობელ ქვეყნებში, ისე ახლო აღმოსავლეთის არაბული გაზაფხულის კონტესტში. აღნიშნული დოქტრინის ამოსავალი წერტილი ისაა, რომ რუსეთის ფედერაციის წინაშე იმ დროისთვის იდგა ახალი სახის გამოწვევები, შესაბამისად, საჭირო იყო საპასუხო რეაქციების შემუშავება გამოწვევების ახალი ბუნების გათვალისწინებით.[41]

---

[40] Geohistory, Military Learning Between the Chechen Wars, 24 October 2006, https://geohistory.today/military-learning-chechen-wars/

[41]Герасимов Валерий, „Ценность науки в предвидении
Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий“, 26 февраля 2013, https://www.vpk-news.ru/articles/14632

გერასიმოვის დოქტრინა საფუძვლად დაედო „ჰიბრიდული ომის“ ცნებას, რომელიც თავის თავში მოიცავს სამხედრო ოპერაციების პარალელურად ისეთი ქმედებების გატარებას, როგორიცაა პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და ა.შ. ამის პარალელურად, ხდება ფარული სამხედრო მოქმედებების გამოყენება. აღნიშნულის მიზანია, მოხდეს დასახული პოლიტიკური და სტრატეგიული მიზნების მიღწევა არაპირდაპირი სამხედრო მოქმედებების გამოყენებით. ამ დოქტრინის თანახმად, ღია სამხედრო ქმედებებზე გადასვლა შეიძლება მოხდეს მხოლოდ გარკვეულ ეტაპზე, როცა გარკვეულწილად პოლიტიკური მიზნები მიღწეულია არასამხედრო ქმედებების გამოყენებით და საჭიროა საბოლოო წარმატების მიღწევა კონფლიქტში.

2013 წელს გერასიმოვი ამტკიცებდა, რომ ალტერნატიული ქმედებების გამოყენების მიუხედავად, შეიარაღებულ ძალებს ძალიან მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ და საჭიროა მუდმივად ზრუნდა სამხედრო ძალების სიძლიერეზე. მისი თქმით, დღესდღეობით საომარი მოქმედებები გახდა ბევრად უფრო დინამიური, აქტიური და შედეგზე ორიენტირებული. თითქმის ქრება საომარი მოქმედებებიდან ტაქტიკური და ოპერატიული პაუზები, რომლითან შეეძლოთ მებრძოლ მხარეებს ესარგებლათ სტრატეგიის გადასაწყობად თუ სხვა მიზნების მისაღწევად. ახალმა საინფორმაციო ტექნოლოგიებმა მნიშვნელოვნად შეამცირა სივრცითი, დროითი თუ საინფორმაციო დისტანცია მებრძოლებსა და მმართველ ორგანოებს შორის, რაც საბრძოლო მოქმედებების დინამიურობას განაპირობებს. ფრონტის ხაზზე განხორციელებული შეტაკებები მოწინააღმდეგეთა მსხვილ სამხედრო შენაერთებს შორის სტრატეგიულ და ოპერატიულ დონეზე, ნელ-ნელა წარსულს ბარდება. ბრძოლის ველზე სამხედრო მიზნების მიღწევის მთავარ საშუალებად ყალიბდება უკონტაქტო ზემოქმედება მოწინააღმდეგეზე.[42]

მასობრივად ხდება მაღალი სიზუსტის მქონე შეიარაღების გამოყენება საბრძოლო მოქმედებებში. აქტიურად ინერგება მოწინავე ქვეყნების შეიარაღებულ ძალებში რობოტიზირებული სისტემები.

[42]Ibid.

გერასიმოვი ასევე ამტკიცებდა, რომ სულ უფრო მეტად გამოიყენება ასიმეტრიული მოქმედებები, რომელთა რიცხვსაც მიეკუთვნება ისეთი სახის ქმედებები, როგოროცაა სპეციალური ოპერაციებისთვის განკუთვნილი ძალების და შიდა ოპოზიციური ძალების გამოყენება იმ მიზნით, რომ მოწინააღმდეგე ქვეყნის შიგნით შეიქმნას მუდმივი სამოქმედო ფრონტი. გარდა ამისა, იგივე სახის ასიმეტრიულ ქმედებებს განეკუთვნება საინფორმაციო ზემოქმედება მოწინააღმდეგე სახელმწიფოზე, რომლის ფორმებიც და საშუალებებიც მუდმივად იხვეწება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება, რომელსაც გერასიმოვმა გაუსვა ხაზი თავის ცნობილ სიტყვით გამოსვლაში იყო შეიარაღებაში ხელოვნური ინტელექტისა და რობოტების გამოყენების დანერგვა. მისი თქმით, მომავალში ამ მიმართულებამ შესაძლოა წამყვანი როლი შეასრულოს სხვადასხვა ქვეყნის შეიარაღებულ ძალებსა და არსენალში. ახლო მომავალში მან არ გამორიცხა სრულად რობოტიზირებული სამხედრო ფორმირებების ჩამოყალიბება, რომლებიც დამოუკიდებლად შეძლებენ საბრძოლო მოქმედებების წარმოებას.[43]

გერასიმოვის თქმით, თანამედროვე კონფლიქტებში მთავარ მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოსახლეობის, მთავარი კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებისა და საკომუნიკაციო არხების დაცვა მოწინააღმდეგის თავდასხმებისგან. ამ მიზნის მიღწევა, მისი თქმით შესაძლებელია მოხდეს ტერიტორიული თავდაცვის ორგანიზებითა და განხორციელებით. გერასიმოვის თქმით, 2008 წლამდე რუსეთის შეიარაღებულ ძალებში სამხედროთა რიცხვი შეადგენდა 4.5 მილიონს და ამ ამოცანების მიღწევა ხორციელდებოდა სამხედრო ძალების დახმარებით. თუმცა, ახალი გამოწვევების პირობებში, როცა ზემოხსენებულ სტრატეგიულ ობიექტებზე თუ მოსახლეობაზე შეტევის მისატანად გამოიყენოს არა პირდაპირი სამხედრო ძალა, არამედ სხვა სახის ასიმეტრიული ქმედებები, საჭიროა ამ მიდგომის საფუძვლიანად გადახედვა, ვინაიდან, მხოლოდ შეიარაღებული ძალები ვეღარ უზრუნველყოფენ მათ დაცვას. მისი თქმით, ამ

[43]Ibid.

კონტექსტში, დასახული მიზნების მიღწევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ ყველა ძალოვანი სტრუქტურის კომპლექსური მიდგომების გამოყენების შემთხვევაში.[44]

ყველა ამ სიახლისა და ახალი თავისებურებების გათვალისწინებით, გერასიმოვის მტკიცებით, აუცილებელი იყო, რუსეთის ფედერაციას და მის სამხედრო ხელმძღვანელობას შეემუშავებინა ახალი მიდგომები ახალ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით. ის განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდა მეცნიერული მიდგომების, სამხედრო ხასიათის კვლევების როლსა და მნიშვნელობას შეიარაღებული ძალების მოდერნიზებასა და ახალი გამოწვევებთან წარმატებით გამკლავებასთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ გერასიმოვის იდეებს დღეს მოიხსენიებენ „ჰიბრიდული ომის“ სახელწოდებით, თავად მის გამოსვლაში მას არ უხსენებია ეს ტერმინი. როგორც უკვე აღინიშნა, ის ძირითადად ამახვილებდა ყურადღებას „ასიმეტრიულ მოქმედებებზე“, როგორც სამხედრო, ისე არასამხედრო, საინფორმაციო მეთოდების გამოყენებაზე მოწინააღმდეგის დესტაბილიზირების მიზნით. მისი თქმით, უკანა პლანზე გადადის მოწინააღმდეგეებს შორის პირდაპირი სამხედრო კონტაქტი და სანაცვლოდ, მეტად აქტუალური ხდება ბრძოლის სხვა სახეობები. გერასიმოვის ზემოთ მოყვანილი იდეები ამა თუ იმ სახით იქნა გამოყენებული რუსეთის ქმედებებში ყირიმში, დონბასსა და სირიაში. მართალია მიმომხილველები მიიჩნევენ, რომ რუსეთის ფედერაციას სრულად უკონტაქტოდ არ გამოუვიდა აღნიშნულ კონფლიქტებში ჩაბმა და მან გარკვეული სახის დანაკარგები ნახა სამხედროებს შორის[45], თუმცა, დანაკარგების მოცულობა შეუდარებლად უფრო მცირე იყო, ვიდრე იგივე თუნდაც ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების დროს.

---

[44]Ibid.

[45] Добиться превосходства над остальным человечеством: Начальник российского Генштаба формулирует программу подготовки к масштабной войне, 09 марта 2019, https://www.novayagazeta.ru/articles/2019/03/09/79808-dobitsya-prevoshodstva-nad-ostalnym-chelovechestvom

ვალერი გერასიმოვის ძირითადი მოსაზრებები და შეხედულებები შეიძლება შეჯამებულ იქნას შემდეგნაირად:

- ასიმეტრიული და არაპირდაპირი მოქმედებების გამოყენება მოწინააღმდეგის დესტაბილიზირების მიზნით;
- მაღალმანევრირებადი უკონტაქტო საბრძოლო მოქმედებები წარმოება სხვადასხვა სახეობის სამხედრო დაჯგუფების გამოყენებით;
- მოწინააღმდეგე ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალის განადგურება. ამის ერთ-ერთი მაგალითი შეიძლება იყოს მოწინააღმდეგე ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოყვანა;
- სპეციალური სამხედრო ძალების ფართომაშტაბიანი გამოყენება და ასევე კონფლიქტურ ვითარებაში სამხედრო-სამოქალაქო ჯგუფების აქტიური ჩაბმა;
- მთელი ქვეყნის მასშტაბით, მოწინააღმდეგის სამხედრო შენაერთებზე და ობიექტებზეერთდროული ზემოქმედება;
- საინფორმაციო ომის წარმოება;
- ძალების და საშუალებების მართვა ერთიან საინფრომაციო ცენტრში.[46]

ზემოთ საუბარი იყო გერასიმოვის მიერ 2013 წელს წამოყენებულ „ჰიბრიდული ომის“ კონცეფციაზე. ამ ქვეთავის დანარჩენი ნაწილი განიხილავს რუსეთის ფედერაციის უახლეს სამხედრო სტრატეგიას, რომელიც წარმოდგენილ იქნა ისევ გერასიმოვის მიერ. აღნიშნულის მიზანია, შეისწავლოს, თუ რამდენად მოხდა ცვლილებების შეტანა რუსეთის სამხედრო სტრატეგიაში 2013 წლიდან მოყოლებული.

რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა წარმოდგენილ იქნა 2019 წლის 2 მარტს გენერალური შტაბის ხელმძღვანელის, ვალერი გერასიმოვის მხრიდან. აღნიშნული დოქტრინა ითვალისწინებს რუსეთის უპირატესობის მიღწევას

[46]ვახტანგ მაისაია, რუსეთის ფედერაციის გეოსტრატეგიული ამბიციები და მისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიები.

ნებისმიერ პოტენციურ მოწინააღმდეგესთან მიმართებაში. მასში მოწინააღმდეგეების რანგშია განხილული ისეთი ქვეყნები, როგორიცაა აშშ და ნათქვამია, რომ რუსეთის მოწინააღმდეგეებმა მის წინააღმდეგ შესაძლოა გამოიყენონ ისეთი პოლიტიკური ტექნოლოგიები, როგორიცაა „ფერადი რევოლუციების“ ხელშეწყობა. დოქტრინაში ასევე ნათქვამია, რომ პენტაგონის მიერ ხდება ახალი სტრატეგიის შემუშავება სახელწოდებით „ტროას ცხენი“, რომელიც მიზნად ისახავს, მოწინააღმდეგე ქვეყანაში გამოიყენოს საპროტესტო პოტენციალი ე.წ. „მეხუთე კოლონის“, იგივე შიდა პოლიტიკური ოპოზიციის გამოყენებით, რათა მოახდინონ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური ვითარების დესტაბილიზირება. აღნიშნული ქმედებების პარალელურად, მოსალოდნელია ზუსტი დამიზნების ფუნქციის მქონე შეიარაღებით სამხედრო ხასიათის შეტევების მიტანა „სტრატეგიულ ობიექტებზე.“[47]

გერასიმოვის მტკიცებით, აღნიშნულ საფრთხეებზე რუსეთის საპასუხო ქმედება შეიძლება იყოს „აქტიური თავდაცვის სტრატეგია“, რომლის თანახმადაც, უნდა განხორციელდეს მთელი რიგი პრევენციული ქმედებები აღნიშნული საფრთხეების განეიტრალების მიზნით. „აქტიური თავდაცვის სტრატეგია“ შესაბამისად ითვალისწინებს მთელი რიგი თავდაცვითი მოქმედებების გატარებას იმ მიზნით რომ მოხდეს არა მხოლოდ ტერიტორიის შენარჩუნება და დაცვა, არამედ, სამხედრო მოქმედებების შემთხვევაში, მოწინააღმდეგის სამხედრო შესაძლებლობების განეიტრალება და განადგურება. ამ სტრატეგიის ფარგლებში, გერასიმოვის თქმით, რუსეთის დღის წესრიგში დგას ბირთვული და არაბირთვული შეიარაღების დახვეწა და სრულყოფა, რათა მოხდეს მოწინააღმდეგის დარწმუნება იმაში, რომ რუსეთზე ან მის მოკავშირეებზე რაიმე სახის ზეწოლის მოხდენის მცდელობა დიდი საფრთხის შემცველი და უპერსპექტივოა. აღნიშნული ამოცანის განხორციელებაში მნიშვნელოვანი რული უნდა შეასრულოს ახალი სახის შეიარაღებამ, პირველ რიგში კი ზებგერითმა რაკეტებმა. გარდა ამისა, მისი თქმით, რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის ყურადღების ცენტრში უნდა იყოს შეიარაღებული ძალების

[47]Новая военная доктрина РФ: подготовка к масштабной войне, 9 марта 2019, https://www.pravda.com.ua/rus/news/2019/03/9/7208764/

რობოტიზაცია და უპილოტო საფრენი აპარატების გამოყენება სამხედრო ამოცანების მისაღწევად. გარდა ამისა, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს საინფორმაციო სფეროს, რომელსაც არ გააჩნია საზღვრები და იძლევა დისტანციური ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობას მოწინააღმდეგის კრიტიკული ინფრასტრუქტურის ობიექტებზე, ისევე როგორც მოსახლეობაზე. ამის საპირისპიროდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ მოწინააღმდეგემ ვერ მოახდინოს რუსეთის ფედერაციის კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე შეტევების მიტანა. ამ მიზნით, გერასიმოვის მტკიცებით, აუცილებელია ტერიტორიული თავდაცვის ამოცანების შემუშავება და განხორციელება.

ზემოთ თქმული საფრთხეებისა და მიზნების გათვალისწინებით, 2019 წლის სამხედრო დოქტრინაში გერასიმოვი ხაზს უსვამს სამხედრო-ეკონომიკური საკითხების მნიშვნელობას. ამ კონტექტში, გენერალური შტაბის ხელმძღვანელის აზრით, ყველა სახის აუცილებელ შეიარაღებას რუსეთის შეიარაღებული ძალები უნდა იღებდნენ საჭირო რაოდენობით ჯერ კიდევ მშვიდობის პირობებში, ვინაიდან საომარი მოქმედებების დროს, აღნიშნული ამოცანების განხორციელება ბევრად უფრო გართულდება. დოქტრინაში ის ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რუსეთმა ყველა სხვა შესაძლო მოწინააღმდეგესთან მიმართებაში უნდა მოიპოვოს ტექნიკური, ტექნოლოგიური, ორგანიზაციული უპირატესობა სამხედრო სფეროში. შემოთქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ უკრაინისა და სირიის კონფლიქტების ფონზე, რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ჰიბრიდული საშუალებები ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა დღევანდელი გამოწვევების პირობებში, მხოლოდ ისინი საკმარისი აღარაა რუსეთის წინაშე მდგარი უსაფრთხოების გამოწვევების პირობებში და საჭიროების შემთხვევაში მათ უნდა დაემატოს არა მხოლოდ სამხედრო სიძლიერის დემონსტრირების კომპონენტი, არამედ საჭირო სამხედრო ძალების გამოყენება, პირველ რიგში მაღალტექნოლოგიური შეიარაღების სახით.[48]

[48]Мартовские тезисы генерала Герасимова,16 марта, https://zn.ua/international/martovskie-tezisy-generala-gerasimova-vezhlivye-lyudi-horosho-no-raketno-aviacionnyy-udar-luchshe-311944_.html

აღნიშნული თეზისების 2013 წლის დოქტრინასთან შედარების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ თუ პირველ დოქტრინაში გერასიმოვის ტონი უფრო ზომიერი იყო და მთავარ ყურადღებას ამახვილებდა ჰიბრიდულ ქმედებებზე, ახალი დოქტრინა აჩვენებს, რომ მხოლოდ მსგავსი ქმედებების გამოყენება შეიძლება საკმარისი არ იყოს რუსეთის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. რა თქმა უნდა ზემოთ აღწერილი ასიმეტრიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, საინფორმაციო და სხვა სახის არასამხედრო მოქმედებები ისევ რჩება რუსეთის ხელმძღვანელობის არსენალში, თუმცა გერასიმოვის თქმით, სამხედრო და საომარი სტრატეგიის მთავარ შემადგენელ ნაწილს უნდა შეადგენდეს შესაძლო საბრძოლო მოქმედებებისთის მომზადება და მისი წარმართვა შეიარაღებული ძალების მიერ. ამასთან, ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საუბარია მასშტაბურ და არა ლოკალურ ომზე.[49]

ზემოთქმულის გათვალისწინებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა მთავარ აქცენტს აკეთებს დასავლეთთან შესაძლო მასშტაბურ დაპირისპირებაზე და მიუთითებს ამისთვის შესაბამისად მომზადების აუცილებლობაზე.

[49]Новая военная доктрина РФ: подготовка к масштабной войне, 9 марта 2019, https://www.pravda.com.ua/rus/news/2019/03/9/7208764/

თავიორი - ტრანსფორმირებულირუსულისამხედროდოქტრინებისგავლენასაქართველოსუსაფრთხოებისგარემოზე

როგორც წინა თავში იყო ნაჩვენები, რუსეთის სამხედრო დოქტრინები დროთა განმავლობაში განიცდიდნენ ტრანსფორმაციას მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სამხედრო მოვლენების საპასუხოდ, მათ შორის საკმაოდ დიდი გავლენა იქონია მათ განვითარებაზე ჩეჩნეთის პირველმა და და მეორე სამხედრო კამპანიებმა. 1990-იანი წლების ბოლოს და 2000-ანი წლების დასაწყისში შემუშავებული დოქტრინები მიზნად ისახავდა ჩეჩნეთის ომში დაშვებული სტრატეგიული თუ სამხედრო ხასიათის შეცდომების საპასუხო ქმედებების გაწერას, მომავალში მათი თავიდან აცილების მიზნით. აღნიშნული თავი შეეცდება გააანალიზოს, თუ რა გავლენას ახდენდა და ახდენს რუსეთის მოდიფიცირებული სამხედრო დოქტრინები, მათ შორის ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინა“ საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე.

2.1. საქართველოსსამხედროპოლიტიკისამოცანებიდამოუკიდებლობისმოპოვებისშემდეგ

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველო იძულებით გააწევრიანეს საბჭოთა კავშირში და 1991 წლამდე მოუწია რუსეთის ფედერაციასთან ერთად სსრკ-ში თანაარსებობა. 1991 წელს მოპოვებული დამოუკიდებლობა გახდა რუსეთის უკმაყოფილების მიზეზი, რასაც მოჰყვა რუსეთის ფედერაციის მხრიდან პოლიტიკური და ეკონომიკური ბლოკადა და ასევე სეპარატისტულად განწყობილი მოძრაობების მხარდაჭერა, რომელიც შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა. აღნიშნულ კონფლიქტებში ფარულად მონაწილეობდნენ რუსეთის ფედერაციის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები, რასაც მოჰყვა

აფხაზეთიდან და ცხინვალის რეგიონიდან ქართველი მოსახლეობის განდევნა და ეთნიკური წმენდა,რომელიც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციის მხრიდან იქნააღიარებული.

ქართული არმიის მშენებლობის დაწყების მცდელობა ზვიად გამსახურდიას ჰქონდა, რომელიც კარგად აცნობიერებდა რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებს.მას შემდეგ, რაც ზვიად გამსახურდიამ პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან პრეზიდენტის თანამდებობაზე გადაინაცვლა, მან გადაწყვიტა, რომ ჩაენაცვლებინა ძველი სამხედრო პირები და შეიარაღებულ ძალებზე კონტროლი თავად განეხორციელებინა. გამსახურდიამ ეროვნულ გვარდიას სტატუსი შეუცვალა და მილიციის სპეციალური ქვედანაყოფად ჩამოაყალიბა. გამსახურდიას ამგვარი ქმედებები არ აპატიეს ეროვნული გვარდიის წევრებმა და 1991 წლის არ იყო, რადგან მაშინდელ შეიარაღებულ ქვედანაყოფებშისამეთაურო რგოლის აბსოლუტურ უმრავლესობას საბჭოთა კავშირში ნამსახურები ოფიცრები წარმოადგენდნენ.

შესაბამისად, მიუხედავად იმისა რომ ქართული ჯარის მშენებლობას საფუძველი ზვიად გამსახურდიას დროს ჩაეყარა, იმ პერიოდში ქვეყნის ხელმძღვანელობას არ გააჩნდა საჭირო რესურსები, არ არსებობდა არც საერთაშორისო სტრუქტურების შესაბამისი მხარდაჭერა, რაც აუცილებელი იყო პროფესიონალური არმიის ჩამოსაყალიბებლად. ამ მიმართულებით განსაკუთრებული წინსვლა არც ედუარდ შევარდნაძის პერიოდში არ ყოფილა, რადგანაც არ მომხდარა საქართველოს ეკონომიკური გაძლიერება და კორუფციის აღმოფხვრა, რაც აუცილებელი იყო შეიარაღებული ძალების გაძლიერების დასაფინანსებლად.

რუსეთის ფედერაციის მხრიდან 2008 წლის ომის დაგეგმვასა და წარმოებას მრავალი მიზეზი ჰქონდა მათ შორის არ იყო მთავარი საქართველოს ტერიტორიის გარკვეული ნაწილის ოკუპაცია და თვითაღიარებული ტერიტორიების აღიარება, არც საქართველოში მაშინ არჩეული მთავრობის ჩამოგდება, მთავარ მიზანს საქართველოს არჩეული საგარეო კურსი

წარმოადგენდა რომელიც დასავლეთს უკავშირდებოდა, რუსეთის ფედერაციას სურდა ამ კურსის ჩრდილოეთით გადახრა.

2008 წლის შემდეგ რუსეთი აქტიურად აწარმოებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე სამხედრო ბაზების მშენებლობას, სადაც შეჰყავს შეიარაღება და პირადი შემადგენლობა, რაც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა. რუსეთის ფედერაცია დღემდე არ ასრულებს ნაკისრ ცეცხლის შეწყვეტის ვალდებულებას, რომელზეც 2008 წლის 12 აგვისტოს მოაწერა ხელი. ასევე ხელს უშლის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ეუთოსა და სადამკვირვებლო მისიების მუშაობას.

ზემოთქმული გამოწვევებიდან გამომდინარე, საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის მთავარ მიზანს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია წარმოადგენს.საქართველოს ცალმხრივად აქვს აღებული ცეცხლის განუახლებლობის ვალდებულება, რაც დასტურდება საერთაშორისო ორგანიზაციებისათვის და ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გაგზავნილ წერილებში. ქართულ მხარეს ასევე ღიად აქვს გაცხადებული, რომ მზადაა იმუშაოსყველა მხარესთან, ვინც შესთავაზებს დახმარებას ოკუპირებული ტერიტორიების მშვიდობიანი გზით დეოკუპაციას.გარდა ამისა, ქართული მხარე ოკუპირებულ რეგიონებს ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობილ ფართო ავტონომიას სთავაზობს.[50]

2.1.1. საქართველოსეროვნულისამხედროსტრატეგია 2005-2010 წელი

ეროვნულისამხედროსტრატეგიისსფეროშიპირველიკონცეპტუალურიდოკუმენტი 2005 წელსშემუშავდა. იგიეფუძნებოდაეროვნულიუსაფრთხოებისკონცეფციასდაგანსაზღვრავდასაქართველოსთავდაცვისპოლიტიკას 2010 წლამდე.მნიშვნელოვანიაიმფაქტისაღნიშვნა, რომესდოკუმენტიკონცეპტუალურადიყოფოდაორნაწილადდაგანსაზღვრავდაქვეყნისთავდაცვისპოლიტიკისმოკლე (2005-2007) დასაშუალოვადიან (2008-2010) ხედვებსდაამოცანებს.

[50]საქართველოსთავდაცვისსამინისტრო, „თავდაცვისსტრატეგიულიმიმოხილვა 2017-2020,“ https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf

ესდოკუმენტისტრატეგიულგარემოსაფასებდა, როგორც „სწრაფადცვალებადს“, რომელიცხასიათდება „პოტენციურმოწინააღმდეგეთასიმრავლითდაშეზღუდულიშესაძლებლობებით“. უსაფრთხოებისმთავარგამოწვევებადდასახელებულიიყორეგიონისარასტაბილურიხასიათიდაგაყინულიკონფლიქტები, სეპარატისტულირეგიონებისარსებობა, საქართველოსტერიტორიაზერუსულისამხედრობაზებისდარუსიმშვიდობისმყოფელებისყოფნა, კრიტიკულინფრასტრუქტურაზეთავდასხმისსაფრთხე, სართაშორისოტერორიზმი. აღსანიშნავია, რომდოკუმენტისაქართველოზეპირდაპირსამხედროაგრესიასდაბალიალბათობისსაფრთხედგანიხილავდა.[51]

უსაფრთხოებისმოცემულგარემოშიეროვნულსამხედრომიზნებსწარმოადგენდა „თავდაცვა, შეკავებადაპრევენცია, მზადყოფნა, საერთაშორისოსამხედროთანამშრომლობა“. სამხედროწარმატებისფაქტორებადკიგანისაზღვრა „მოქნილობა, ერთიანიოპერაციებისწარმართვა, ნატოსთანთავსებადობა/საერთაშორისოოპერაციებშიმონაწილეობა, ქვეყნისთავდაცვისადა კრიზისებისდროსმოქმედებისწინასწარიდაგეგმვა, სამოქალაქოუწყებებისათვისდახმარებისგაწევა, სადაზვერვოდაინფორმაციულიშესაძლებლობები“.

თავდაცვის, როგორცუმთავრესიეროვნულისამხედრომიზნისამოცანასწარმოადგენდა „საქართველოსსუვერენიტეტისადატერიტორიულიმთლიანობისდაცვა“. დოკუმენტშინათქვამიიყო, რომსაქართველოსთავისისისუსტისკომპენსირებაუნდამოეხდინა NATO-თანდაპარტნიორქვეყნებთანმჭიდროთანამშრომლობითდაამთანამშრომლობიდანმიღებულიდახმარებითქვეყანაშეძლებდაგამკლავებოდამასზეუფროძლიერმოწინააღმდეგეს. აგრესიისპირობებშითავდაცვაუნდადაყრდნობოდა

[51] საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, გვ. 1-8 http://nsc.gov.ge/res/docs/2014063015502327962.samxstrategia.pdf

„მაქსიმალურიწინააღმდეგობის“ პრინციპსდათავდასხმისშემთხვევაშიქვეყნისმთელირესურსებისმობილიზებაუნ დამომხდარიყოთავდაცვითიშესაძლებლობებისგასაძლიერებლად. განიხილებოდა, რომსაქართველოს, როგორცმცირეტერიტორიისმქონექვეყნისშეიარაღებულძალებსარჰქონდათუკან დახევისშესაძლებლობადაშეიარაღებულიკონფლიქტისდროს, შეზღუდულირესურსებისგამო, მათგაუჭირდებოდათმოწინააღმდეგისმიერდაკავებულიტერიტორიებისდაბრუნ ება. ამიტომშეიარაღებულძალებსმჭიდროდუნდაეთანამშრომლასახელმწიფოსსხვაუწ ყებებთანდამოსახლეობასთან, რათამოწინააღმდეგისთვისშეექმნა „არაპროგნოზირებადისივრცე“.[52]

2.1.2. საქართველოსეროვნულისამხედროსტრატეგია 2014 წელი

1991 წლიდან მოყოლებული საქართველო რუსეთიდან მომდინარე საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას. აღნიშნული გამოიხატება ქვეყნის ტერიტორიების ოკუპაციითა და არსებული კონფლიქტის ესკალაციის სახით, რაც თავის მხრივ არასტაბილურ გარემოს ქმნის რეგიონში მთლიანად და ხელს უშლის საქართველოს ევრო ატლანტიკურ სტრუქტურებში, აქედან გამომდინარე დღემდე საქართველოს მთავარ გამოწვევად რჩება ოკუპირებული რეგიონების დეოკუპაცია კონსტრუქციული დიპლომატიური მეთოდებით.

საქართველოს აქვს კეთილმეზობლური ურთიერთობები რეგიონის მეზობელ ქვეყნებთან, აზერბაიჯანთან და სომხეთთან. სამხედრო ხელმძღვანელობის მხრიდან დიდი ყურადღება ექცევა მშვიდობის დამყარებას როგორც რეგიონში, ასევე საერთაშორისო მასშტაბით, რასაც ადასტურებს საქართველოს შეიარაღებული ძალების მონაწილეობა ავღანეთის უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განსამტკიცებელ მისიებში (ISAF).

[52]საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, გვ. 8
http://nsc.gov.ge/res/docs/2014063015502327962.samxstrategia.pdf

აღსანიშნავია, რომ საქართველო წარმოადგენს ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორ ნატოს არაწევრ ქვეყანას.

ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებისაკენ სწრაფვა წარმოადგენს ქვეყნის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის მთავარ პრიორიტეტს. აქედან გამომდინარე,საქართველოს შეიარაღებული ძალები აქტიურად მონაწილეობენ ნატო - საქართველოს ეგიდით ორგანიზებულ ისეთ ერთობლივ წვრთნებში, როგორიცაა "AGILE SPIRIT" და "NOBEL PARTNER", რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სახმელეთო ოპერაციები მრავალეროვნული შტაბითა და დაქვემდებარებული პირადი შემადგენლობით.აღნიშნულ წვრთნებში ჩართულია როგორც ავიაციის ასევე საარტილერიო ქვედანაყოფები.გარდა აღნიშნულისა, მიმდინარეობს ასევე სხვა საშტაბო სამეთაურო საერთაშორისო სწავლებები. განსაკუთრებით აღსანიშნავი ფაქტია ნატო - საქართველოს წვრთნისა და შეფასების ერთობლივი ცენტრის (JTEC)შექმნა, რომლის ეგიდითაც ტარდება მრავალი საერთაშორისო სწავლება. განსაკუთრებით აღსანიშნავია „საქართველოს თავდაცვის მზადყოფნის პროგრამა" (GDRP), რომელიც არის მიმართული ქართული ქვეითი ბატალიონების გადამზადებისაკენ, სადაც ქართველი ინსტრუქტორების მხარდამხარ ამერიკელი სამხედრო მოსამსახურეები იღებენ მონაწილეობას როგორც ინსტრუქტორები.აღნიშნული პროგრამა ორიენტირებულია არა საერთაშორისოუსაფრთხოების უზრუნველყოფის ოპერაციებში მონაწილეობაზე, არამედ ისუზრუნველყოფს ქართული ჯარის მზაობას, რათა უზრუნველყოს უსაფრთხოება და საჭიროების შემთხვევაში აწარმოოს კომბინირებული ოპერაციები საქართველოს თავდაცვისათვის.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" და საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის" მიხედვით საქართველოში იკვეთება შემდეგი საფრთხეები და რისკები:

საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია - რუსეთის ფედერაციის მხრიდან საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის შედეგად, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის საფრთხე წარმოადგენს

საქართველოში დესტაბილიზაციის წყაროს. ოკუპირებული ტერიტორიების სიღრმეში საერთაშორისო მისიების არშეშვება და იქ არსებული სიტუაციის კონტროლის მთლიანად რუსეთის ხელში აღება საქართველოს ტერიტორიაზე მუდმივი დაძაბულობისა და პოტენციური არასტაბილურობის წყაროს ქმნის.

რეგიონალური არასტაბილურობა - კავკასიაში არსებული არასტაბილური გარემო არ არის საფრთხის შემცველი მხოლოდ კონფლიქტში ჩაბმული ქვეყნებისათვის, არსებობს საშიშროება, რეგიონში არსებული კონფლიქტების საქართველოს ტერიტორიაზე გადმოვიდეს.

ტრანსნაციონალური საფრთხეები -მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესიდან გამომდინარე, იზრდება საერთაშორისო დანაშაულის მოქმედების არეალი. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური დანაშაული საფრთხის მომტანია როგორც კონკრეტული ქვეყნებისათვის, ასევე გლობალური გარემოსათვის. საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ხელსაყრელი პირობებიაშექმნილი საერთაშორისო ტერორიზმისა, ტრანსნაციონალური და სხვა სახის ორგანიზებული დანაშაულისათვის, როგორიცაა ტრეფიკინგი, კონტრაბანდა, იარაღითა და მასობრივი განადგურების იარაღით ვაჭრობისათვის.

კიბერ საფრთხეები - კიბერ უსაფრთხოების უზრუნველყოფა თანამედროვეობის ერთ-ერთ ყველაზე მთავარ გამოწვევად რჩება. 2008 წლის აგვისტოშისაქართველოს წინააღმდეგ განხორციელდა კიბერთავდასხმა, რომლის დროსაც საქართველოს პრეზიდენტის სერვერი გატეხეს. იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მხრიდან არ ხორციელდება „ჰაკერული„ ჯგუფების მოქმედების შეზღუდვა, საჭიროა საქართველოში კიბერდანაშაულის წინააღმდეგ მეტი კონტროლისა და აღკვეთის მექანიზმების დანერგვა და ამუშავება.

საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის მთავარ ასპექტს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა წარმოადგენს,რომელიც მხარს უჭერს ქვეყნის ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებასა და რეგიონალური

უსაფრთხოების განვითარებას, ასევე დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა, და ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას.

სწორედ თავდაცვის პოლიტიკა არის განმსაზღვრელი იმ მიზნების და ამოცანების, რომელიც დასმულია საქართველოს თავდაცვის ძალების მიმართ. ის თავის მხრივ ითვალისწინებს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის პრიორიტეტებსა და მიმართულებებს.თავდაცვის ძალების მართვა, მის განვითარებაზე ზრუნვა და საჭირო პრიორიტეტების განსაზღვრა თავდაცვის სისტემის მართვის მთავარ პრინციპებს წარმოადგენს.[53]

2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მაღალია რუსეთის ფედერაციის მხრიდან ახალი სამომარი მოქმედების წარმოების რისკი, შესაბამისად, საქართველომ აქცენტი გააკეთა იმაზე, რომ თავდასხმითი ოპერაციებიდან მთავარი ძალისხმევა თავდაცვის ოპერაციებზე გადაერთო. 2018 წლიდან საქართველოს შეიარაღებული ძალების ტრანსფორმაცია და თავდაცვის ძალებით ჩანაცვლება მოხდა.

თავდაცვის ძალების დაქვემდებარებაში შედიან:

გენერალური შტაბი - მისიძირითადიდანიშნულებაასაქართველოსთავდაცვისძალებისმეთაურისთვისს აქართველოსთავდაცვისძალებისმიერფუნქციებისშესრულებაშიხელისშეწყობა.

აღმოსავლეთისსარდლობა - მისიძირითადიდანიშნულებაათავდაცვისგეგმითგანსაზღვრულიოპერაციისრაი ონშიმისდამიდაქვემდებარებულიქვედანაყოფებისმართვადადასახულიამოცანებ ისშესრულება;

დასავლეთისსარდლობა - მისიძირითადი დანიშნულებაათავდაცვისგეგმითგანსაზღვრულიოპერაციისრაი ონშიმისდამიდაქვემდებარებულიქვედანაყოფებისმართვადადასახულიამოცანებ ისშესრულება.

[53] საქართველსო თავდაცვის სამინისტრო, „საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია“, https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf

ავიაციისადასაჰაეროთავდაცვისსარდლობა - მისიძირითადიდანიშნულებაასაქართველოსთავდაცვისძალებისქვედანაყოფების საავიაციომხარდაჭერისგანხორციელება, აგრეთვექვეყნისსაჰაეროსივრცისდაცვა.

სპეციალურიოპერაციებისძალები - მათიძირითადიდანიშნულებაასპეციალურიოპერაციებისჩატარება, აგრეთვესაქართველოსთავდაცვისძალებისქვედანაყოფებისმხარდაჭერა.

წვრთნებისადასამხედროგანათლებისსარდლობა - მისიძირითადიდანიშნულებაასაქართველოსთავდაცვისძალებისპერსონალისმიერსამხედროპროფესიულიგანათლებისმიღებისუზრუნველყოფა, ქვედანაყოფებისწვრთნადაშეფასება, აგრეთვესაქართველოსთავდაცვისძალებისსამხედროდოქტრინებითუზრუნველყოფა.

ჯარებისლოჯისტიკურიუზრუნველყოფისსარდლობა - მისიძირითადიდანიშნულებაასაქართველოსთავდაცვისძალებისლოჯისტიკური მხარდაჭერისგანხორციელება.

ეროვნულიგვარდია - მისიძირითადიდანიშნულებაატერიტორიულირეზერვისადასამობილიზაციორეზერვისმართვა.

სამხედროპოლიცია - მისიძირითადიდანიშნულებაასაქართველოსკანონმდებლობითგანსაზღვრულისა გამოძიებოქვემდებარეობისფარგლებშიდანაშაულთაგამოძიება, ოპერატიულ-სამძებროღონისძიებებისადაფარულისაგამოძიებომოქმედებებისგანხორციელება, საქართველოსთავდაცვისძალებშიმართლწესრიგისადათავდაცვისობიექტებისდაცვის, აგრეთვესაქართველოსთავდაცვისძალებისგადაადგილებისუსაფრთხოებისუზრუნველყოფა.

სამხედროდაზვერვისდეპარტამენტი - მისიძირითადიდანიშნულებაასამხედროსადაზვერვოსაქმიანობისგანხორციელება.

საომარიმდგომარეობისდროსსაქართველოსთავდაცვისძალებისშემადგენლობაში შედისაგრეთვეშემდეგიერთეულები:საქართველოსშინაგანსაქმეთასამინისტროს ახელმწიფოსაქვეუწყებოდაწესებულება–საქართველოსსასაზღვროპოლიცია; განსაკუთრებულდავალებათადეპარტამენტი;სტრატეგიულიმილსადენებისდაცვ ისდეპარტამენტი;ობიექტებისდაცვისდეპარტამენტი;საქართველოსსახელმწიფო უსაფრთხოებისსამსახურისსპეციალურიოპერაციებისდეპარტამენტი;სამინისტრ ოსმმართველობისსფეროშიმოქმედისაჯაროსამართლისიურიდიულიპირები;დავ ითაღმაშენებლისსახელობისსაქართველოსეროვნულითავდაცვისაკადემია;გიორ გიაბრამიშვილისსახელობისსაქართველოსთავდაცვისსამინისტროსსამხედროჰოს პიტალი;კიბერუსაფრთხოებისბიურო;საქართველოსიუსტიციისსამინისტროსმმა რთველობისსფეროშიმოქმედისაჯაროსამართლისიურიდიულიპირი– მონაცემთაგაცვლისსააგენტო.[54]

2.2. რუსეთისფედერაციისახალისამხედროდოქტრინადამისიგავლენასაქარ თველოსსამხედროუსაფრთხოებაზე

როგორც წინა თავში იყო ნაჩვენები, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ხედვამ გარკვეული ტრანსფორმაცია გაიარა 1991 წლის შემდეგ და ამ პროცესზე სხვადასხვა მნიშვნელოვანი პოლიტიკური, თუ სამხედრო მოვლენა ახდენდა გავლენას, მათ შორის, ჩეჩნეთის ორი სამხედრო კამპანია. თუ საბჭოთა კავშირის პერიოდის სამხედრო დოქტრინებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა გლობალური ომისგან მომავალი საფრთხეებისგან თავის დაცვაზე, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის ფედერაციის მიერ შემუშავებულ სამხედრო დოქტრინებში ფოკუსი შეიცვალა. 1990-იანი წლების სამხედო დოქტრინებსა და

[54] საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ, https://mod.gov.ge/ge/page/13/generaluri-shtabis-shesaxeb

სტრატეგიებში გაჩნდა ადგილობრივი, ლოკალური ომის ფენომენი, რაც პოტენციურად შეიძლება განპირობებული ყოფილიყო ქვეყნის შიდა რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა სახის დაპირისპირებებით. ადგილობრივი/ლოკალური ომის წინა პლანზე წამოწევა დიდწილად დაკავშირებული იყო ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომში მიღებულ გამოცდილებასთან.

რუსეთის უფრო თანამედროვე სამხედრო ხედვების მიმოხილვის კონტექტში, უნდა აღინიშნოს ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა „ჰიბრიდული ომის“ კონცეფციას. აღნიშნული ხედვის თანახმად, სამხედრო ქმედებების პარალელურად, არანაკლებ მნიშვნელოვანია სხვა, ასიმეტრიული სახის ქმედებების განხორციელება მოწინააღმდეგის დესტაბილიზირებისა და დასუსტების მიზნით. კერძოდ, ის გულისხმობდა საინფორმაციო, ეკონომიკურ, ჰუმანიტარულ ღონისძიებებს, რომელთაც შეიძლება ასევე თან ახლდეთ ფარული სახის სამხედრო მოქმედებები. ამ იდეების გაჟღერებასთან ერთად, რუსეთის გენერალური შტაბის უფროსმა, ვალერი გერასიმოვმა 2013 წელს ასევე ხაზი გაუსვა სამხედრო შესაძლებლობების მუდმივი ზრდისა და განვითარების აუცილებლობას, განსაკუთრებით მაღალტექნოლოგიური შეიარაღების თვალსაზრისით (მაგალითად: ზებგერითი შეიარაღება; რობოტები; უპილოტო საფრენი აპარატები და ა.შ.).მისი აზრით, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანია მეცნიერული ხედვებისა და მიდგომების განვითარება სამხედრო სფეროში, რომლის მთავარი მიზანიც უნდა იყოს ახალი, ზოგჯერ თუნდაც არასტანდარტული, ხედვებისა და იდეების განვითარება სამხედრო საქმიანობაში.[55]

გერასიმოვის 2013 წლის იდეების შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის სამხედრო ხედვა ნელ-ნელა შორდება ტრადიციულ სამხედრო მეთოდებს, რომელშიც სამხედრო მოქმედებები, მათ შორის შეიარაღების განლაგება/გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე, მოჰყვება ომის გამოცხადებას, დიდი საჯარისო შენაერთები ჩართულნი არიან შეტაკებებში

[55]Герасимов Валерий, „Ценность науки в предвидении
Новые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий“, 26 февраля 2013, https://www.vpk-news.ru/articles/14632

ფრონტის ხაზზე და მოქმედებს მკაცრი სამხედრო იერაქიის პრინციპი. ამ შემთხვევაში, ომის ბედს ძირითადად წყვეტს ჯარის მომზადების დონე და ბრძოლისუნარიანობა. ამისგან განსხვავებით, რუსეთის ახალი სამხედრო ხედვა ყურადღებას ამახვილებს უკონტაქტო შეტაკებებზე მაღალი მანევრირების უნარის მქონე შენაერთებს შორის, რაც შეიძლება ხორციელდებოდეს ომის ღიად და ნათლად გამოუცხადებლობის პირობებშიც. ამ შემთხვევაში, სამხედრო ქმედებებს ემატება მრავალი სხვა სახის ასიმეტრიული მოქმედებები.[56]

დოქტრინალური ცვლილებების გარდა, მნიშვნელოვანია, თუ რა სახის ცვლილებები და რეფორმები ხორციელდებოდა რუსეთის შეიარაღებულ ძალებში პრაქტიკულ დონეზე. თავის დროზე, რუსეთის ფედერაციის სამხედრო ხელმძღვანელობამ უარი თქვა ე.წ. „ხუთსაფეხურიანი ოპერატიული მმართველობის“ ფორმაზე (ასეული-ბატალიონი-პოლკი-დივიზია-არმია), რაც ოპერტიული-სტრატეგიული დაგეგმვის პრინციპს წარმოადგენდა და ის ჩაანაცვლა ე.წ. „ოთხსაფეხურიანი სისტემით“ (ბატალიონი-ბრიგადა-ოპერატიული დაჯგუფება-არმია) იმ მიზეზით, რომ ეს შემადგენლობა უფრო ეფექტურად გაუმკლავდებოდა ბოლო პერიოდის სამხედრო საფრთხეებს. თუმცა, სირიის სამხედრო კამპანიაში ჩაბმამ, უკრაინაში წარმოებულმა ჰიბრიდულმა ომმა და საქართველოს წინააღმდეგ წარმოებულმა ასიმეტრიულმა საბრძოლო მოქმედებებმა, ასევე დასავლეთთან შესაძლო კონფრონტაციის საფრთხემ, რუსეთის სამხედრო ხედვებში ცვლილებების შეტანა და კორექტირება გამოიწვია. კვლავ იქნა შემოღებული დამრტყმელი სამხედრო დოქტრინალური პრინციპები და აღდგენილ იქნა „ხუთსაფეხურიანი სისტემა“, კიდევ უფრო შემტევი ერთეულის დამატებით, კერძოდ, „პოლკი“ ჩანაცვლებულ იქნა ბრიგადის ერთეულით, შესაბამისად, ოპერატიული ერთეული შეცვლილ იქნა ოპერატიულ-სტრატეგიული ერთეულით. აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შედეგად, მიღებულ იქნა ახალი მოდელი: ბატალიონი-ბრიგადა-დივიზია-არმია-საარმიო დაჯგუფება.

[56]Can Kasapoglu, Russia's Renewed Military Thinking: Non-Linear Warfare and Reflexive Control, NATO Research Paper, No. 121, November 2015.

გარდა აღნიშნული ცვლილებებისა, უნდა ითქვას, რომ 2008 წელს რუსეთის არმიაში დაწყებული სამხედრო რეფორმების თანახმად, მოხდა შეიარაღებული ძალების ტრადიციული სამობილიზაციო სისტემიდან მუდმივ საბრძოლო მზადყოფნის ძალებად ტრანსფორმაცია. აღნიშნული ცვლილებებით სამხედრო ხელმძღვანელობის მიზანია, რომ რუსეთის შეიარაღებული ძალები გახადონ უფრო მოქნილი და მობილური, რომლებიც იქნებიან მუდმივ მზადყოფნაში, შეეძლებათ სწრაფი რეაგირების მოხდენა და მცირემასშტაბურ კონფლიქტებში ჩართვა. ამ მიზნების მისაღწევად, 2016-2017 წლებში ხშირად ცხადდებოდა მოულოდნელი განგაში ცენტრალურ და აღმოსავლეთ სამხედრო ოლქებში.[57]

ზოგადად, რუსეთის ფედერაციაში მიმდინარე ცვლილებები სამხედრო დოქტრინების დონეზე, პირდაპირ გავლენას ახდენს საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე ქვეყნის გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე. ვიდრე განვიხილავდე რუსეთის თანამედროვე სამხედრო დოქტრინის გავლენას საქართველოს უსაფრთხოებაზე, მინდა მოკლედ მიმოვიხილო ის ფაქტორები რუსეთის 1990-იანი წლების სამხედრო დოქტრინებიდან, რომლებიც პირდაპირ უკავშირდებოდნენ საქართველოს უსაფრთხოების გარემოს. იმ პერიოდის სამხედრო დოქტრინებში ხაზგასმით იყო ნათქვამი, რომ სამხედრო ბლოკების შესაძლო გაფართოვება რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე, რუსეთისთვის პირდაპირ საფრთხეს წარმოადგენდა და მას ექნებოდა შესაბამისი რეაქცია მსგავს ქმედებებზე. აღნიშნული ფაქტორი პირდაპირ, უარყოფით გავლენას ახდენდა და ახდენს საქართველოს მისწრაფებაზე, რომ გახდეს ევრო ატლანტიკური სტრუქტურების წევრი ქვეყანა. ბევრი მეცნიერი თანხმდება, რომ მიუხედავად საბჭოთა კავშირის დაშლისა, რუსეთის ფედერაცია პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს მიიჩნევს თავის გავლენის სფეროებად, სადაც მას პრივილეგირებული ინტერესების ფლობის უფლება გააჩნია.

[57]ვახტანგ მაისაია, რუსეთის ფედერაციის გეოსტრატეგიული ამბიციები და მისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიები.

გარდა ამ ფაქტორისა, 1990-იანი წლების რუსეთის სამხედრო დოქტრინები მეზობელ ქვეყნებში მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობის უფლებების დაცვას რუსეთის ფედერაციის ერთ-ერთ მთავარ მიზნად აცხადებდა. ამ ასპექტმაც პირდაპირი, უარყოფითი გავლენა იქონია საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე, განსაკუთრებით 2008 წლის ომის კონტექტში. საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრის ოფიციალურ მიზეზად, რუსეთის ხელისუფლებამ გამოიყენა ის არგუმენტი, თითქოს ის ცდილობდა თავისი მოქალაქეების (რომელთაც ის თანდათან ურიგებდა რუსულ პასპორტებსა და მოქალაქეობას) დაცვას საქართველოს ხელისუფლებისგან.

საქართველოზე პირდაპირ გავლენას ახდენს რუსეთის უფრო თანამედროვე სამხედრო დოქტრინა და შეხედულებები, რომელიც ჩაოყალიბებულ იქნა ე.წ. გერასიმოვის დოქტრინის სახით. ყველა ის პუნქტი, რომელიც ჩამოთვლილი იყო წინა თავში, რაც წარმოადგენს აღნიშნული დოქტრინის ძირითად პოსტულატებს (ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენება მოწინააღმდეგის დესტაბილიზირებისთვის) აქტიურად გამოიყენება და შეიძლება კიდევ უფრო ინტენსიურად იქნას მიმართული საქართველოს, თუ სხვა პოსტ-საბჭოთა სახელმწიფოების წინააღმდეგ.

2008 წლის ომის გამოცდილებამ დაანახა რუსეთის ფედერაციას, რომ მეზობელ სახელმწიფოებში ღია სამხედრო ოპერაციების წარმოება და შეიარაღებული ძალების ღიად ჩართვა ძალიან დიდ წინააღმდეგობას აწყდება საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან. აღნიშნული სცენარი ითვალისწინებს სერიოზულ დანაკარგებს შეიარაღებული ძალების რიგებში, რაც, ისევე როგორც ეს ჩეჩნეთის ომების გამოცდილებამ აჩვენა, ქვეყნის მოსახლეობის ძლიერ უკმაყოფილებას იწვევს. შესაბამისად, აღნიშნული რისკების თავიდან აცილების მიზნით, რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის თანამედროვე ხედვა უფრო მეტად ეყრდნობა „ჰიბრიდული ომის“ კონცეფციას. აღნიშნული ითვალისწინებს, როცა ეს შესაძლებელია, პირდაპირი სამხედრო ინტერვენციისა და ჩარევის ნაცვლად, სხვა სახის ქმედებების გამოყენებას, როგორიცაა საინფორმაციო ომი, ეკონომიკური თუ ჰუმანიტარული ქმედებები. როგორც წინა

ქვეთავებში იყო ნახსენები, აღნიშნულ ქმედებებს შეიძლება თან ერთვოდეს ფარული სახის სამხედრო მოქმედებები, როგორც ეს მოხდა უკრაინის კონფლიქტის შემთხვევაში.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნისთვის, ჰიბრიდული ომის მეთოდები არანაკლებ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ღია სამხედრო კონფრონტაცია და დაპირისპირება რუსეთის მსგავს სახელმწიფოსთან. „ჰიბრიდული ომის“ მეთოდები დიდ საფრთხესთანაა დაკავშირებული იმის გამო, რომ მათი გამოყენებით გარე ძალებმა შეიძლება ისე მოახდინონ ქვეყნის შიგნით პოლიტიკური თუ ეკონომიკური ვითარების დესტაბილიზაცია, რომ ვერც მოხერხდეს აღნიშნული შეტევების ავტორის იდენტიფიცირება. იმ შემთხვევაშიც კი თუ მოწინააღმდეგის იდენტიფიცირება მოხერხდება, ძალიან რთული იქნება იმის დამტკიცება, რომ აღნიშნული ქმედებების უკან კონკრეტული სახელმწიფო დგას. გარდა ამისა, ჰიბრიდული ომის მეთოდების გამოყენებით მოწინააღმდეგე თავის პოლიტიკურ, თუ სამხედრო მიზანს აღწევს შედარებით ნელა და მეთოდურად. აქედან გამომდინარე, ვინაიდან საფრთხე შეიძლება ერთი შეხედვით ნათელი და გარდაუვალი არ ჩანდეს, ამ შემთხვევაში საქართველოსნაირ ქვეყანას ნაკლები შანსი აქვს მიიღოს საერთაშორისო თანამეგობრობის მნიშვნელოვანი მხარდაჭერა, როგორც ეს მოხდა 2008 წლის ომის შემთხვევაში.

2.3. “ჩეჩნური“ სამხედროკამპანიებისანალიზიდასაქართველოსგეოსტრატეგიულიმდგომარეობა

ჩეჩნეთის პირველი ომის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე, მეორე სამხედრო კამპანიის პერიოდში რუსული ტაქტიკა არაპირდაპირ ჭარბ საცეცხლე საშუალებებზე იყო დაყრდნობილი, რომელიც მოწოდებული იყო იმისკენ, რომ შეემცირებინათ ურბანული ტიპის ბრძოლები და მთავარი დარტყმა მიეყენებინა შორსმსროლელ საარტილერიო დანადგარებს. აღნიშნული ტაქტიკის მთავარი მიზანი იყო, რომ თავი აერიდებინა ახლო ბრძოლებისთვის და ამ

გზითგაესწორებინა მიწასთან დასახლებული პუნქტები, რასაც შემდგომში მოჰყვებოდა ქვეითი და მექანიზირებული ქვედანაყოფების შესვლა დანიშნულების პუნქტებში.

ზოგადად, საარტილერიო ქვედანაყოფების დეცენტრალიზებული სისტემა, რომელსაც მეორე მსოფლიო ომში იყენებდნენ, ეფუძნებოდა ამოცანით მართვას და აღნიშნულმა ტაქტიკამ გაამართლა იმ დროისათვის. თუმცა, თანამედროვე საბრძოლო ტაქტიკასთან შესაბამობაში ვერ მოდიოდა, რადგანაც ჩეჩენი მებრძოლები იყენებდნენ მცირე ჯგუფებით მოულოდნელ თავდასხმებს და იყვნენ სწრაფები და მანევრულები. მეწინავე მეთვალთვალეების მიერ მოწინააღმდეგის დგომის წერტილის დადგენა და იდენტიფიკაცია დიდ დროს მოითხოვდა. შესაბამისად, ზემოხსენებული ფაქტორების გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა ახალი ტაქტიკა, აღნიშნული ტაქტიკა ემყარებოდა დიდ ადგილმდებარეობაზე პასუხისმგებლობის ზონების დანაწილებას, სადაც საარტილერიო ქვედანაყოფები დეცენტრალიზირებულად მოახდენდნენ მიზნის იდენტიფიკაციასა და ცეცხლდაშენას.

რუსული ავიაციის საფრენი აპარატებიც იგივე ტაქტიკას იყენებდნენ, მი-24 და მი-8 ტიპის ვეტმფრენები, რომლებიც ავიაციის ტაქტიკურ ჯგუფთან ერთად სახმელეთო ძალების პოლკის, ბატალიონის და ასეულის დონეზეც კი აკეთებდნენ საჰაერო მხარდაჭერას. ავიაიერიშის შემთხვევაში მი-24 და მი-8 ტიპის შვეულფრენები წყვილში მოქმედებდნენ. მი-24-ით ხდებოდა მოწინააღმდეგის პოზიციების დამუშავება, ხოლო მი-8 ტიპის ვერტმფრენებით ხდებოდა მოწინააღმდეგის მიერ ჩამოგდებული მოიერიშეების ეკიპაჟის ევაკუაცია. მათ ასევე უნდა გაეკონტროლებინათ და დაედასტურებინათ მოწინააღმდეგის პოზიციების განადგურება ავია მემიზნის არ ყოფნის შემთხვევაში. ჩეჩნეთის პირველ ომამდე და მიმდინარე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ავიამემიზნეების შტატები, შესაბამისად მეორე ომის მიმდინარეობისას ინტენსიურად მიმდინარეობდა აღნიშნული სპეციალისტების მომზადება.[58]

[58]საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ჩეჩნეთის მეორე ომი“, 2009 წელი, გვ 24.

რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა მეორე კამპანიის პერიოდში აქტიურად დაიწყეს ავიაციის გამოყენება. ნებისმიერი ურბანული ბრძოლის მიმდებარეობისას ავიაცია და არტილერია კომბინირებულად მიწასთან ასწორებდა დასახლებულ პუნქტებს მანამ, სანამ არ დარწმუნდებოდნენ, რომ მოწინაარმდეგე ბრძოლის უუნარო იყო. ეს ყველაფერი ხდებოდა ჩეჩნეთის პირველი ომის მწარე გამოცდილებიდან გამომდინარე. წინ წაწევის მარშრუტზე, მოწინააღმდეგის წინააღმდეგობის არსებობისას ბატალიონის და ასეულის მეთაურებიც კი იძახებდნენ საარტილერიო ცეცხლს.

კომბინირებული ცეცხლის გახსნამდე გადაადგილების მარშრუტებზე მოწინააღმდეგის აღმოჩენისათვის რუსები იყენებდნენ უპილოტო საფრენ აპარატებს, ასევე სადაზვერვო ჯგუფებს. მაშინდელი საჰაერო ძალების მეთაურის განცხადებით, ჩეჩნეთის მეორე ომის წარმოების პირველ წელს 14 000 საბრძოლო ფრენა შეასრულდა. რუსული ჯარის მთავარ საცეცხლეძალას ავიაცია წარმოადგენდა, რომელმაც საბრძოლო ოპერაციების 80% შეადგინა, 15 – 17 %-ს კი არტილერია შეადგენდა. შეიძლება ვთქვათ, რომ მოწინააღმდეგის მიმართულებით გახსნილი ცეცხლის 60 %სწორედ ავიაციაზე მოდიოდა.

რუსი მეთაურების მთავარ ამოცანას, როგორც ზემოთ აღინიშნა, წარმოადგენთა ახლო ბრძოლაში ჩართვის გარეშე განეხორციებინათ დასახლებული პუნქტების აღება, თუმცა გარკვეულ შემთხვევებში მათ უწევდათ ახლო ბრძოლების წარმოება, განსაკუთრებით დიდ ქალაქებში ბძოლებისას. მაგრამ აღსანიშნავია, რომ რუსულმა ჯარმა შეძლო პირველი ომის მიმდინარეობისას არსებული შეცდომების გაანალიზება და დასახლებულ რაიონებში შესაბამისი საბრძოლო ტაქტიკით მოქმედება. მეორე ომის პერიოდში, რუსეთის შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელებმა საბრძოლო დოქტრინა შეცვალეს და ის ჩეჩნეთში წარმოებული პირველი ომის პერიოდში დაშვებულ შეცდომებსა და გამოცდილებებს მოარგეს.[59]

რუსულიქვედანაყოფები გროზნოს ბრძოლებამდე რეპეტიციებს გადიოდნენ უკვე მათ კონტროლქვეშ მყოფ გარეუბნებში. დეტალურად ხდებოდა ადგილმდებარეობის ანალიზი, რომლის პარალელურადაც ავიაცია და არტილერია

[59]საქართველოს თავდაცვის სამინისტრო, „ჩეჩნეთის მეორე ომი“, 2009 წელი, გვ 24.

ამუშავებდა მოწინააღმდეგის პოზიციებს. ეს ხდებოდა ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სახმელეთო ჯარს გადაადგილების მარშრუტზე აფერხებდა ჩეჩენთა მცირე ჯგუფები. დოქტრინულად ობიექტზე შეტევამდე, ობიექტს ავიაცია ან არტილერია ამუშავებს, მაგრამ რუსულმა არმიამ ეშმაკობას მიმართა და პირდაპირი მოულოდნელი შეტევების წარმოება დაიწყო გამთენიისას, როდესაც მოწინააღმდეგე მეტნაკლებად მოდუნებულია. აღნიშნული ტაქტიკის გამოყენებით რუსები ახერხებდნენ რამოდენიმე საცხოვრებელი კვარტლის აღებას ღამით, ხოლო დღისით ჩეჩენთა ქვედანაყოფები ახორციელებდნენ კონტრშეტევებს, თუმცა უშედეგოდ.

საბრძოლო ტაქტიკის დახვეწას წინ საბრძოლო გამოცდილება და განვლილი მოქმედებები ახლავს და შესაბამისად ეს ბრძოლის ველზე მიღებული გამოცდილების შედეგად ხდება.ავღანეთის ომმა რიგი გამოსასწორებელი საკითხები გამოამჟღავნა, მაგალითად, რომ საჭიროა კარგად ორგანიზებული ტაქტიკური დაჯგუფებები, მეთაურების მიერ ავიაციის და არაპირდაპირი ცეცხლის მოთხოვნის პროცედურების დახვეწა, დაზვერვის ეფექტური გამოყენება, სნაიპერების სათანადო მომზადება, რათა მათი ეფექტური გამოყენება მომხდარიყო. მიუხედავად იმისა, რომ ზემდგომმა ხელმძღვანელობამ კარგად იცოდა ზემოაღნიშნული მოწყვლადი საკითხების შესახებ, რომლის გამოსასწორებლადაც უნდა გატარებულიყო ღონისძიებები,თუმცა იგივე ფაქტორებმა იჩინა თავი ჩეჩნეთის პირველ ომში.

1994-1996 წლებში პირველი ჩეჩნეთის ომის მიმდინარეობისას რუსებს ძალიან მრავალრიცხოვანი მსხვერპლი ჰქონდათ, რაც ქალაქის ახლო ბრძოლებმა განაპირობა. ჩეჩნების მიერ ახლო ბრძოლების წარმოებას თავისი მიზეზი ჰქონდა, მათ რეალურად გამოთიშეს ბრძოლიდან რუსული საარტილერიო და საავიაციო უპირატესობა, რადგანაც წარმოებულ ცეცხლში დიდი შანსი იყო მეგობრული ცეცხლით დაეზიანებიათ ერთმანეთი. აღნიშნულის გათვალისწინებით, ჩეჩენ მებრძოლებს უპირატესობა ჰქონდათ რუს ახალწვეულებთან შედარებით. რადგანაც ჩეჩენ მებრძოლებს ღრმად მოტივირებული, კარგი საბრძოლო გამოცდილებისა და რელიეფის და ადგილმებარეობის კარგად მცოდნე

მებრძოლები წარმოადგენდნენ, რასაც ემატებოდა სამოქალაქო პირების მხარდაჭერა, რუსულ შეიარაღებული ძალები მნიშვნელოვან წინააღმდეგობას წააწყდნენ მათი მხრიდან.ჩეჩნეთის მეორე კამპანიის დაგეგმარებისას ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი იყო ბრძოლების დაშორიშორება 300 მეტრამდე. ეს მანძილი წარმოადგენს საშტატო შეიარაღებიდან ეფექტურ სროლის მანძილს, ასევე ამ დისტანციიდან შესაძლებელი იყო საარტილერიო ცეცხლის წარმოება.[60]

1999-2000 წლებში არტილერია ავიაციის შემდეგ წარმოადგენდა მთავარ საცეცხლე საშუალებას და მეორე სამხედრო კამპანიის პერიოდში, რუსული ჯარი იმ დადგენილი წესის და სტანდარტების გამოყენებით ასრულებდა საბრძოლო მოქმედებებს, რა გამოცდილებაც პირველმა ჩეჩნურმა კამპანიამ დაუტოვა. არტილერიის როლის წამოწევა და ოპერაციებში მეტი ინტენსივობით ჩართვის მიზანი იყო რუსული ჯარის ქვეითი ქვედანაყოფების რიგებში ნაკლები დანაკარგების ქონა, ახლო ბრძოლებიდან გამომდინარე. რუსეთის შეიარაღებული ძალები არტილერიის ცეცხლის გამოძახებას და გათვლების მანევრირებას კარგად ახდენდნენ გაშლილ ველებზე, რასაც რუსული ჯარი შეჩვეულია რუსეთის რელიეფიდან გამომდინარე, თუმცა მათი ამოცანა აშკარად გართულდა როდესაც მათ მოუწიათ ტყიან მასივებსა და დასახლებულ პუნქტებში მოქმედება და ამას ემატებოდა ის ფაქტი რომ გათვლებში უმრავლესობა ახალწვეული, გამოუცდელი ჯარისკაცები იყვნენ. ასევე რთული იყო მეწინავე მეთვალთვალეებისაგან ცეცხლის კორექტირება და დაზიანების დადასტურება. თუმცა საბოლოო ჯამში, იმ საბრძოლო ტექნიკისა და საბრძოლო საშუალებების უპირატესობიდან გამომდინარე, რაც რუსებს გააჩნდათ ჩეჩნეთის მეორე ომში, რუსებს არ გასჭირვებიათ ჩეჩნეთის მიწასთან გასწორება.

რუსებმა ჩეჩნეთის მეორე ომში გამოიყენეს შემდეგი საარტილერიო საშუალებები: ზალპური რეაქტიული საშუალებები, როგორიცაა ბმ-21 „გრადი“ რომელსაც გააჩნია 122 მმ-იანი გასროლები, ბმ-22 „ურაგანი“ 220 მმ-იანი გასროლები, და იმ დროისთვის ყველაზე გამანადგურებელი და მრისხანე გახლდათ 9 კ–58 “სმერჩი,“

[60]ლესტერ ვ. გრაუ, ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიები - „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია, გვ.33.

რომლის კალიბრიც 300 მმ-ს შეადგენდა და ხმელეთი-ხმელეთი ტიპის რაკეტები.[61] გარდა ამისა, რუსულმა ჯარმა ჩეჩნეთის მეორე ომში გამოიყენა ჰაერსაწვავის ნაერევით ფეთქებადი იარაღი.

ქვემოთ მოკლედაა მოყვანილი შეიარაღების ის ტიპები, რომელთან რუსეთის შეიარაღებული ძალები აქტიურად იყენებდნენ ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების წარმოებისას.

ჰაერსაწვავის ნარევით ფეთქებადი იარაღი ანუ იგივე „თერმობარული“ შედგება მშრალი ყინულისაგან, ქმნის აეროზოლის ღრუბელს, შემდეგ ხდება ამ ღრუბლის აალება და წარმოიქმნება ცეცხლოვანი ბურთი, რომელიც წვავს მის გარშემო არსებულ ტერიტორიას, აღნიშნულ ტერიტორიაზე შთანთქავს ჟანგბადს და ჟანგბადის ნაკლებობა კი ჰქმნის წნევას. სწორედ ეს წნევა არის მომაკვდინებელი, რომელიც აფეთქების ტალღას ქმნის.

ზემოაღნიშნული ფეთქებადი ნივთიერების დეტონაციამ შეიძლება გამოიწვიოს იგივე შედეგი, რაც ბირთვულ იარაღს გააჩნია თუმცა განსხვავება ისაა, რომ ის არ წარმოშობს რადიაციას. წნევა რომელსაც თერმობარული იარაღი წარმოქმნის დაახლოვებით ორჯერ აღემატება სხვა კონვენციური იარაღის აფეთქების შედეგად წარმოქმნილს, ასევე მატულობს ტემპერატურა, რომელიც 2500-3000 ცელსიუსამდე ადის. არ არის რთული წარმოსადგენი თუ რა ემართებოდათ ჩეჩენ მებრძოლებს თერმობარული ბომბის მოქმედების რადიუსში მოხვედრისას, რომლებიც იმყოფებოდნენ დაცულ შენიღბულ ადგილმდებარეობაზე, აღალის რაიონში, სადაც შეიარაღება იყო დასაწყობებული ან ინდივიდუალურ საბრძოლო პოზიციებზე, სწორედ ამ ობიექტების გასანადგურებლად იყენებდა რუსული არმია აღნიშნულ იარაღს.

„ბურატინო“ იგივე TOC -1 თერმობარული იარაღია, რომელიც გროზნოში გამოიყენეს. მისი თავდაპირველი გამოცდა ავღანეთში მოხდა 1980 წელს. აღნიშნული იარაღის კორპუსს წარმოადგენს T-72 ტიპის ტანკი, ხოლო ტანკის ქვემეხის მაგივრად მასზე ინტეგრირებულია 220 მმ-იანი სარაკეტო სისტემა.

[61]Вторая Чеченская: от артиллерийского сопровождения – к огневой поддержке, 1 მაისი 2017, https://topwar.ru/114595-vtoraya-chechenskaya-ot-artilleriyskogo-soprovozhdeniya-k-ognevoy-podderzhke.html

იარაღის ტექნიკური მახასიათებლები შემდეგია: ეფექტური სროლის მანძილი 3.5 კილომეტრი, მაქსიმალური სროლის მანძილი 5 კილომეტრი, ხოლო მინიმალური სროლის მანძილს 400 მეტრი შეადგენს.

პარტიზანულად მოქმედი ჩეჩენი მებრძოლები, რომლებიც ტყეებსა და მთებს აფარებდნენ თავს და საკმაოდ მობილურად მოქმედებდნენ СУ – 24 და СУ – 25 ტიპის შვეულფრენებით მუშავდებოდნენ. СУ – 24 და СУ – 25 -ის ტიპის შვეულმფრენები ახორციელებდნენ სახმელეთო ჯარების მთავარ საცეცხლე მხარდაჭერას, თუმცა არსებობდა სირთულეები: როგორიც იყო სპეციალისტების ნაკლებობა, საწვავის, შეიარაღებისა და საპოხი მასალებით ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, ასევე აღინიშნებოდა კავშირის პრობლემა ბორტებსა და სახმელეთო ქვედანაყოფებს შორის. თუმცა მთლიანი მეორე ომის პერიოდში ავიაცია საკმაოდ დიდ როლს ასრულებდა, დაკისრებული ამოცანა კარგად შეასრულეს ასევე წყვილში მომუშავე МИ-8 და МИ-24 ის ტიპის შვეულმფრენებმა. საბრძოლო მოქმედებების დასრულების შემდეგ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პირველად სწორედ გროზნოში მოხდა КА-50 -ის „შავი ზვიგენის“ გამოცდა.

თავის მხრივ, საკმაოდ კარგი შეფასება დაიმსახურა ჩეჩნეთის საჰაერო თავდაცვის საშუალებებმაც, მიუხედავად იმისა, რომ მოძველებულ შეიარაღებას წარმოადგენდა.ჩეჩნეთის პირველმა ომმა კარგად დაანახა რუსულ ჯარს თუ რა სირთულეებთან იყო დაკავშირებული, როდესაც მოთხოვნა არის ძალიან დიდი ქვედანაყოფებიდან და არ არსებობს საჭირო რაოდენობით განსაზღვრული ტრანსპორტი და ტყვიაწამალი. მეორე ომის დროს რუსებმა წარსული გამოცდილების ანალიზიდან გამომდინარე შეიტანეს ცვლილებები და უზრუნველყოფის ქვედანაყოფებს დაამატეს როგორც პირადი შემადგენლობა, ასევე სატრანსპორტო და სხვა საშუალებები.[62]

საქართველომ მოახერხა ის, რომ არ ჩარეულიყო ჩეჩნეთის ომებში. მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ არ აღიარა ჩეჩნეთის დამოუკიდებლობა საქართველოსა

[62]Вторая Чеченская: от артиллерийского сопровождения – к огневой поддержке, 1 მაისი 2017, https://topwar.ru/114595-vtoraya-chechenskaya-ot-artilleriyskogo-soprovozhdeniya-k-ognevoy-podderzhke.html

და რუსეთის პირველმა პირებმა შევარდნაძემ და მასხადოვმა ორი ქვეყნის მეგობრობის უფრო გაღრმავება აღუთქვეს ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ 1999-2000 წლებში ჩეჩნეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში საქართველოს ჩათრევა რამდენჯერმე სცადა რუსეთის ფედერაციამ. რამოდენიმე დღის დაწყებული იყო სპეც ოპერაცია ჩეჩნეთში, როცა მაშინდელმა რუსეთის პრეზიდენტმა, ბორის ელცინმა შევარდნაძეს მოსთხოვა, საქართველოში დისლოცირებული რუსული ბაზებიდან წამოეწყოთ შეტევა. იმ დროს რუსეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს ვლადიმერ პუტინი იკავებდა, რომელიც მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებისათვის ემზადებოდა. მისთვის საციცოცხლოდ აუცილებელი იყო გამარჯვების მომტანი ომის წარმოება, შესაბამისად, მან ყველანაირი დიპლომატიური გზა გამოიყენა იმისათვის, რომ დაეყოლიებინა შევარდნაძის ადმინისტრაცია საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარის რუსული ქვედანაყოფებით იზოლაციაში მოსაქცევად.

იმ დროინდელმა სახელმწიფო მინისტრმა, ვაჟა ლორთქიფანიძემ მოგვიანებით განაცხადა, რომ რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საქართველოს ჩეჩნეთის ომში ჩართვის სანაცვლოდ მდინარე ფსოუზე ქართველი ჯარისკაცების განლაგებას სთავაზობდა, თუმცა მიუხედავად ამისა, უარი მიიღო ამ შეთავაზებაზე. საქართველოს ამგვარ გადაწყვეტილებას მრავალი მიზეზი გააჩნდა: პირველ რიგში, ქართული მხარეს არ ჰქონდა იმის გარანტია, რომ პრეზიდენტი პუტინი თავის სიტყვას შეასრულებდა, მეორეს მხრივ კი, საქართველოს მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილება ღალატად იქნებოდა აღქმული არა მხოლოდ ჩეჩენი მებრძოლების მხრიდან, არამედ დანარჩენი ჩრდილო კავკასიელი რესპუბლიკების მხრიდანაც, რასაც სამომავლოდ შესაძლოა საქართველოს იზოლაციაში მოქცევა მოჰყოლოდა მათი მხრიდან.[63]

ჩეჩნეთის მეორე ომის დაწყებიდან მალევე, საქართველოს ლტოლვილთა პირველი ნაკადის მიღება დაიწყო ჩეჩნეთის რესპუბლიკიდან. ლტოლვილთა შორის იყვნენ ქისტები, რომელთაც ჰქონდათ საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ

[63]ირაკლი მენაღარიშვილი, „პანკისის მოვლენები: ჩეჩნეთის ომები და საქართველო“, https://militarium.org/pankisis-movlenebi/

გადასულები იყვნენ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე. გარდა ამ კატეგორიისა, იყვნენ ისეთებიც, ვისაც საქართველოსთან მანამდე არავითარი კავშირი არ ჰქონოდათ. კონფლიქტის დაწყებიდან რამდენიმე თვეში საქართველოს უკვე ჰყავდა 8 ათასამდე ლტოლვილი მიღებული თავის ტერიტორიაზე.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს უარმა რუსეთის პრეზიდენტისთვის, გამოეყენებინა მისი ტერიტორია ჩეჩენ მებრძოლებზე სამხედრო იერიშების მისატანად შესამჩნევად გააუარესა ურთიერთობები ჩრდილოელ მეზობელთან, თუმცა ამგვარი სცენარისთვის სხვა მრავალი მიზეზიც არსებობდა. გარდა ამისა, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთოერთობებს ძაბავდა საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი, რომელიც იხრებოდა ევროატლანტიკურ სტტრუქტურებთან თანამშრომლობისკენ. ამ პერიოდში საქართველო იბრუნებდა რეგიონის ერთ-ერთი მთავარი სატრანზიტო ქვეყნის ფუნქციას და დასავლეთის ქვეყნებთან გაძლიერებული თანამშრომლობა მას ამ პოტენციალის უფრო ეფექტურად და სრულად გამოყენების საშუალებას მისცემდა, რაც ნამდვილად არ შედიოდა რუსეთის ინტერესებში.

ამ მოვლენებიდან მლევე რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ დაიწყო საინფორმაციო ომის წარმოება, რომლის ფარგლებშიც საქართველო წარმოჩენილი იყო ჩეჩენი სეპარატისტების მხარდამჭერად, ხოლო პანკისის ხეობა მუდმივად მოიხსენიებოდა რუსი მაღალჩინოსნების მხრიდან როგორც ტერორისტების თავშესაფარი, საიდანაც დიდი საფრთხე მოდიოდა რეგიონის ყველა სახელმწიფოსთვის. აღნიშნული საბაბით, იმ პერიოდში რუსეთმა არა ერთხელ დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე მისთვის პრიორიტეტული ობიექტების დაბომბვის მიზნით, რასაც რიგ შემთხვევებში სამოქალაქო პირებს შორის მსხვერპლიც მოჰყვებოდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველო დადგა რეალური საფრთხის წინაშე, რომ რუსეთს გამოეყენებინა იგივე მიზეზები, რაც გამოიყენა ჩეჩნეთის შემთხვევაში და მსგავსი მეთოდების გამოყენებით სემოსულიყო პანკისის ხეობაში. აღნიშნული სცენარის განვითარებას ხელი შეუშალა ამერიკის შეერთებულმა შტატებმა. ისინი შეეცადნენ დახმარებოდნენ საქართველოს

პანკისის ხეობაში მძიმე კრიმინოგენულ ვითარებასთან გამკლავებაში. 2002 წლიდან საქართველო ჩართო ერთობლივ სამხედრო წვრთნებში ამერიკის შეერთებულ შტატებთან ერთად, სახელწოდებით „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამა. აღნიშნული წვრთნების მიზანი იყო, მოემზადებინა ქართული ქვედანაყოფები ანტიტერორისტული ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში.[64]

აღსანიშნავია, რომ საქართველოზე უშუალო გავლენის მოხდენის გარდა, რუსეთის ხელმძღვანელობის ჩეჩნეთის სამხედრო ოპერაციებისას მიღებული გამოცდილება რელევანტური გახდა სხვა რეგიონალური კონფლიქტების კონტექსტშიც. რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ ჩეჩნეთში გამოცდილი ფართომასშტაბიანი დაბომბვების სტრატეგია გამოიყენა სირიის კონფლიქტის დროსაც, ქალაქ ალეპოში. მსგავსი ტაქტიკა იქნა გამოყენებული 2008 წლის აგვისტოს ომის კონტექსტშიც, როცა რუსული რეგულარული შეიარაღებული ძალების საბრძოლო მოქმედებებში ჩართვის ნაცვლად, ლიდერებმა მიმართეს საჰაერო იერიშებსა და დაბომბვებს. ზოგიერთი ექსპერტი მიიჩნევს, რომ ჩეჩნეთის მეორე ომმა კრემლს აჩვენა, რომ საავიაციო შეტევებს სასურველი შედეგი მოჰყვება, თანაც შედარებით მცირე დანაკარგებით საკუთარი ჯარისკაცების რიგებში. შესაბამისად, მოხდა მსგავსი მიდგომის გამოყენება საქართველოსა და სირიის კონტექსტშიც.[65]

[64]ირაკლი მენაღარიშვილი, „პანკისის მოვლენები: ჩეჩნეთის ომები და საქართველო“, https://militarium.org/pankisis-movlenebi/

[65]Mark Galeotti, Putin is Playing by Grozny Rules in Aleppo, Foreign Policy, September 29, 2016, https://foreignpolicy.com/2016/09/29/putin-is-playing-by-chechen-rules-in-aleppo-syria-russia/

დასკვნა

აღნიშნული კვლევა მიზნად ისახავდა იმის შესწავლას, თუ როგორ ხდებოდა რუსეთის სამხედრო დოქტრინების ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი სამხედრო და პოლიტიკური მოვლენების საპასუხოდ და როგორ აისახებოდა ეს ცვლილებები საქართველოს კონტექსტში. აღსანიშნავია, რომ ჩეჩნეთის პირველი სამხედრო კამპანიის შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე, რუსულმა ჯარმა განიცადა მნიშვნელოვანი პროგრესი მართვასა და კონტროლში, რაც შემდგომში ბუნებრივია ასახულ იქნა სამხედრო დოქტრინებზეც. ჩეჩნეთის პირველი ომის პერიოდში რუსეთის არმიამ აჩვენა სისუსტე მართვასა და კონტროლში, მიმდინარეობდა ცენტრალიზებული მართვა, სადაც არ არსებობდა კოორდინაცია და კავშირი ქვედანაყოფებს შორის,

განსაკუთრებით თავდაცვის სამინისტროსა და შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებს შორის.

ცნობილი ფაქტია, რომ ბრძოლის ველზე თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტრო ერთმანეთის დაჭრილების სამედიცინო ევაკუაციასაც კი არ ახორციელებდნენ, მათ შორის არამეგობრული და არაჯანსაღი მეტოქეობიდან გამომდინარე. თუმცა მხოლოდ ამ ორ უწყებას შორის არ იყო არაკოორდინირებული მოქმედებები. საკმაოდ დიდი დანაკარგი მიიღო რუსეთის არმიამ კავშირისა და კომუნიკაციის სისუსტის გამო, განსაკუთრებით იმის გამო, რომ სახმელეთო ქვედანაყოფები ვერ იძახებდნენ საარტილერიო ცეცხლს. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებდა: მათ არ ჰქონდათ კარშირი ან სახმელეთოს ჯარს არ ჰყავდა მომზადებული მეწინავე მეთვალთვალეები, რომლებსაც შეეძლებოდა ზუსტი საარტილერიო ცეცხლის გამოძახება და კორექტირება. ანალოგიური სიტუაცია იყო საჰაერო ძალებთან მიმართებითაც, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ მეორე ომში რუსეთმა იმუშავა როგორც მეკავშირეების გადამზადების, ასევე მეწინავე მეთვალთვალეების და სადაზვერვი ჯგუფების მომზადებაზე. მათ ასევე გამოასწორეს ლოჯისტიკური უზრუნველყოფა, პირველი ომის პერიოდისგან განსხვავებით, როცა რუსებს არ ჰყოფნიდათ ადამიანური რესურსი და ასევე სატრანსპორტო საშუალებები,რომლითაც მოხდებოდა შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკური მომარაგება, მათ შორის ტყვია-წამლით.

რუსული არმია განსაკუთრებით ფრთხილად მოეკიდა დასახლებულ რაიონებში ბრძოლას (ქალაქის ბრძოლები),რომლის მიმდინარეობისას პირველ ომში განსაკუთრებით დიდი დანაკარგი მიიღეს გროზნოს ბრძოლებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსების მიერ მიღებული გაკვეთილის ათვისება,რომლის მიხედვითაც უარი თქვეს ქუჩის ახლო ბრძოლებში მონაწილეობაზე და მაქსიმალურად ჩართეს საქმეში არტილერია და ავიაცია. მას შემდეგ რაც ავიაცია და არტილერია დაამუშავებდა საკვანძო ადგილმდებარეობას, შეიარაღებული ძალები აგრძელებდნენ მოძრაობას მიახლოვების მარშრუტზე. ასევე აღსანიშნავია ქალაქის ქუჩებში ურთიერთ დაფარვით გადაადგილების ტექნიკა, იმ გადაადგილების წყობის შემუშავება, რაც გადაადგილებას მაქსიმალურად

დაცულს ხდიდა, რამაც რეალურად შედეგი გამოიღო და ჩეჩნეთის მეორე ომის გროზნოს ბრძოლების მიმდინარეობისას რუსებმა მხოლოდ ერთი T-72 - ის ტიპის ტანკი დაკარგეს.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტაქტიკური განსხვავება ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომებს შორის იყო ის, რომ მეორე ომის პერიოდში, ვლადიმირ პუტინმა რუსეთის რეგულარული არმიის მხარეს აქტიურად ჩართო ადგილობრივი, ლოიალური ჩეჩენი მებრძოლები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ჩეჩნეთის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში დარჩენას. ამით პუტინი ცდილობდა, მოეხდინა მეორე კონფლიქტის „ჩეჩენიზაცია“ და ჩეჩენი მებრძოლების ერთმანეთთან დაპირისპირებით, მოეხდინა ჩეჩენთა რიგებში ერთსულოვნების რღვევა. გარდა ამისა, ლოიალური ჩეჩნების ჩართვით თავის მხარეს, რუსეთმა საბრძოლო მოქმედებებში ჩართო ადამიანები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ჩეჩენი სეპარატისტების საბრძოლო ტაქტიკას და ჩრდილოეთ კავკასიის გეოგრაფიასა და რელიეფს.

ფაქტია, რომ რუსულმა არმიამ ჩეჩნეთის პირველ ომსა და მეორე ომს შორის საკმაოდ დიდი პროგრესი განიცადა საბრძოლო ფუნქციის ყველა ელემენტის მიმართულებით,ასევე გამოსცადა და დატესტა სხვადასხვა სახეობის შეიარაღება, როგორც კონვენციური, ასევე არაკონვენციური.

ჩეჩნეთის პირველი ომი კარგად ჯდება ასიმეტრიული კონფლიქტის თეორიის კონტექსტში. ომში დაპირისპირებული ორი მხარის რესურსები მკვეთრად ასიმეტრიული იყო, როგორც სამხედრო შეიარაღების, ისე სამხედრო პერსონალის რიცხოვნების თვალსაზრისით. მოუხედავად ამ ფაქტორებისა, ჩეჩენმა მეომრებმა მოახერხეს პირველ კონფლიქტში უპირატესობის მოპოვება და დიდი ზარალის მიყენება რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის.

მართალია, დროდადრო ჩეჩენი მეამბოხეები ახსენებენ თავს რუსეთის ხელმძღვანელობას ტერორისტული აქტების სახით, მაგრამ შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის ფედერაციამ ჩეჩნეთის მეორე ომში მიაღწია თავის მთავარ პოლიტიკურ მიზანს - თავიდან აიცილა ჩეჩნეთის რესპუბლიკის დამოუკიდებელ

ერთეულად გამოყოფა, რასაც შეიძლება სეცესიონისტური მოქმედებები მოჰყოლოდა ჩრდილოეთ კავკასიის სხვა ავტონომიურ რესპუბლიკებშიც, გაანეიტრალა პუტინის რეჟიმის მოწინააღმდეგეთა უდიდესი ნაწილი რეგიონში და მოიყვანა რუსეთის რეჟიმისადმი აბსოლუტურად ლოიალური ხელმძღვანელობა რამზან კადიროვის სახით. აღნიშნულ პოლიტიკურ მიზანს ვლადიმირ პუტინმა და მისმა მთავრობამ მიაღწია სხვადასხვა სახის რესურსის ჩართვითა და კოორდინირებით.

როგორც ემპირიულმა ანალიზმა აჩვენა, რუსეთმა კარგად მოახდინა პირველ ომში დაშვებული შეცდომების გაანალიზება მეორე ომის კონტექტში და მოახდინა თავისი სამხედრო სტრატეგიის გადაწყობა. შესაბამისად, მეორე ომის კონტექსტი მიესადაგება Grand Strategy-ს თეორიის ძირითად პოსტულატებს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფოები ახდენენ თავის ხელთ არსებული ყველა რესურსის მობილიზებას ომის პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. მეორე კონფლიქტის პერიოდში, რუსეთმა ჩართო უფრო დიდი რაოდენობის სამხედრო მოსამსახურეები, გააუმჯობესა კოორდინაცია სხვადასხვა უწყებებს შორის, რისი ნაკლებობაც იყო ჩეჩნეთის პირველი კონფლიქტის დროს. გარდა სამხედრო რესურსებისა, რუსეთმა აქტიურად მიმართა სხვა სახის რესურსებსაც, მათ შორის დიპლომატიურს, რათა საერთაშორისო ასპარეზზე შეერყია სახელი ჩეჩენი მებრძოლებისთვის, რომლებიც პირველი ომის კონტექსტში განიხილებოდნენ როგორც თავისუფლებისთვის მებრძოლები.

აღსანიშნავია, რომ გარდა ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების შედარებითი ანალიზისა, აღნიშნულ კვლევაში მიმოხილული იყო რუსეთის სამხედრო დოქტრინები და მათი ტრანსფორმაცია დროთა განმავლობაში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და სამხედრო მოვლენების კვალდაკვალ. თუ საბჭოთა კავშირის პერიოდის სამხედრო დოქტრინებში ძირითადი აქცენტი კეთდებოდა გლობალური ომისა და ბირთვული დაპირისპირების საფრთხეებზე ორ ძირითად ზესახელმწიფოს შორის, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთავარი აქცენტი კეთდებოდა ქვეყნებს შორის შესაძლო კონფლიქტებზე ეთნიკურ თუ რელიგიურ ნიადაგზე. ეს აქცენტი ძირითადად განპირობებული იყო ჩეჩნეთის

ომების გამოცდილებით. გარდა ამისა, ვინაიდან ჩეჩნეთის პირველმა ომმა აჩვენა, რომ რუსეთის ძირითად ძალოვან უწყებებს შორის არ იყო საკმარისი უწყებათაშორისი კოორდინაცია, 2000 წელს შემუშავებული დოქტრინა ერთ-ერთ მთავარ აქცენტს სწორედ ამ პრობლემის გამოსწორებაზე აკეთებდა.

უფრო თანამედროვე რუსული სამხედრო დოქტრინები ადაპტირებულ იქნა ბოლო პერიოდის გამოწვევების შესაბამისად. ვალერი გერასიმოვის მიერ 2013 წელს შემუშავებული დოქტრინა, რომელსაც „გერასიმოვის დოქტრინის“ სახელით მოიხსენიებენ, ხაზს უსვამდა სამხედრო საშუალებებთან და ქმედებებთან ერთად სხვა სახის ქმედებების (ეკონომიკური, საინფორმაციო, ჰუმანიტარული) გატარების მნიშვნელობას. უფრო გვიანდელი, 2019 წლის დოქტრინა ისევ დიდ აქცენტს აკეთებს ძლიერი სამხედრო შეიარაღებისა და სამხედრო ძალების არსებობაზე, რუსეთის წინაშე მდგარი გლობალური საფრთხეებიდან გამომდინარე.

ბოლო პერიოდის რუსეთის სამხედრო ხედვაში განსაკუთრებით დიდი აქცენტის გაკეთება უკონტაქტო სამხედრო წინააღმდეგობასა და ჰიბრიდული ომის კომპონენტებზე, რომელიც არ გულისხმობს შეიარაღებული ძალების პირდაპირ, ფრონტალურ დაპირისპირებას მოწინააღმდეგის შეიარაღებულ ძალებთან შეიძლება დაკავშირებული იყოს ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიების მძიმე გამოცდილებასთან. ორივე სამხედრო კამპანია გამოდგა იმაზე ბევრად უფრო ხანგრძლივი და სისხლიანი რუსეთის შეიარაღებული ძალებისთვის, ვიდრე ისინი ვარაუდობდნენ თავდაპირველად. რუსი ჯარიკაცების დიდი რაოდენობით დაკარგვა იწვევდა რუსეთის მოსახლეობის უკმაყოფილებას და პრეზიდენტ პუტინის რეიტინგის მკვეთრად შემცირებას. შესაბამისად, ის ძირითადი თეზისები, რომელიც წამოყენებულ იქნა ე.წ. „გერასიმოვის დოქტრინის სახით“, ძირითადი ფოკუსით ბრძოლის ჰიბრიდულ მეთოდებზე, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს, მომავალში მოხდეს მოვლენეის მსგავსი სცენარით განვითარების თავიდან აცილება.

რუსული სამხედრო დოქტრინების შედარებითი ანალიზი ეხმიანება სეკურიტიზაციის თეორიის მთავარ პოსტულატებს, რომლის თანახმადაც უსაფრთხოების პოლიტიკა არაა ობიექტურად მოცემული, არამედ ის

განისაზღვრება პოლიტიკოსებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ. სწორედ ისინი ასრულებენ მთავარ როლს გარკვეული საფრთხეების უსაფრთხოების მთავარ პრიორიტეტად წარმოჩენაში. ამ კონტექტში, ის პირები, რომლებიც მუშაობენ სამხედრო დოქტრინებისა და სტრატეგიების შემუშავებაზე, არიან პროცესის მთავარი წარმმართველები. სწორედ ისინი განსაზღვრავენ, თუ რაა ქვეყნის წინაშე მდგარი მთავარი გამოწვევები და როგორ უნდა იმოქმედოს სახელმწიფომ მათ გასანეიტრალებლად.

რიგ შემთხვევებში, მთავარი გადაწყვეტილებების მიმღები პირების მხრიდან ხდება გარკვეული საფრთხის წყაროების ხაზგასმა, რათა საზოგადოებამ აღიქვას ის მოვლენები, რასაც შეიძლება მანამდე მთავარ საფრთხედ სულაც არ აღიქვამდა უმრავლესობა, ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევად. მაგალითად, ჩეჩნეთის პირველი ომისადმი საკმაოდ მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი წინააღმდეგობის საპასუხოდ, ჩეჩნეთის მეორე ომის წინ ძალიან დიდი დრო და რესურსი დაიხარჯა სხვადასხვა პოლიტიკოსის, ექსპერტისა, თუ ჟურნალისტის მხრიდან ჩეჩენი მებრძოლების ტერორისტებად წარმოსაჩენად, რომლებიც მთავარ საფრთხეს უქმნიდნენ რუსი ხალხის უსაფრთხოებას. როგორც ომის შედეგებმა აჩვნა, ამ გათვლამ გაამართლა. ჩეჩნეთის მეორე კამპანიას ბევრად მაღალი ლეგიტიმაცია და მხარდაჭერა ჰქონდა როგორც მოსახლეობაში, ისე საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან.

რაც შეეხება ჩეჩნეთის პირველი და მეორე კონფლიქტების საფუძველზე ადაპტირებული სამხედრო დოქტრინებისა და უფრო თანამედროვე სამხედრო სტრატეგიული დოკუმენტების გავლენას საქართველოს უსაფრთხოების გარემოზე, ამ მიმართულებით შეიძლება გამოიყოს რამდენიმე პრობლემური მიმართულება, რომელიც დღემდე აქტუალურია საქართველოს თავდაცვის პოლიტიკის კონტექსტში. 1990-იანი წლების სამხედრო დოქტრინებში რუსეთის ხელმძღვანელობდა გამოყოფდა ორი სახის პოტენციურ „პრობლემას“, რასაც აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, მოჰყვებოდა რეაგირება რუსეთის სამხედრო ძალების მხრიდან: 1. სამხედრო ბლოკების შესაძლო გაფართოვება რუსეთის მეზობელი სახელმწიფოების ხარჯზე; 2. საფრთხის შექმნა მეზობელ

ქვეყნებში მცხოვრები ეთნიკურად რუსი მოსახლეობისთბის. აღნიშნული პუნქტების შესაბამისად, რუსეთი დღემდე იყენებს მის ხელთ არსებულ ყველა ბერკეტს, რათა ხელი შეუშალოს საქართველოს ინტეგრაციას ევრო ატლანტიკურ სტრუქტურებში, მეორეს მხრივ კი, რუსი მოქალაქეების დაცვის საბაბით, 2008 წელს რუსეთის შეიარაღებული ძალები შემოიჭრნენ საქართველოს ტერიტორიაზე.

არანაკლებ საყურადღებოა საქართველოსთვის რუსეთის შედარებით ახალი სამხედრო დოქტრინები, რომლებიც მთავარ აქცენტს აკეთებენ „ჰიბრიდული ომის“ კომპონენტებზე, თუმცა ამავე დროს ხაზს უსვამენ შეიარაღებული ძალების მუდმივად გაძლიერების აუცილებლობას. თავის მხრივ, ბოლო სტრატეგიებში ძირითადი აქცენტის ომის ასიმეტრიულ მეთოდებზე გაკეთება შეიძლება ვივარაუდოთ, რომ განპირობებული იყო ჩეჩნეთის პირველ და მეორე ომებში მიღებული მწარე გამოცდილებითაც. ტრადიციული ომის მეთოდების გამოყენებამ, რაც გულისხმობდა პირდაპირ საცეცხლე კონტაქტს მოწინააღმდეგესთან, დიდი დანაკარგები მოუტანა რუსეთის შეიარაღებულ ძალებს, რაც ძალიან უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის ლიდერების პოპულარულობაზე მოსახლეობის თვალში. ამის საპირისპიროდ, „ჰიბრიდული ომის“ შემთხვევაში, მთავარი აქცენტი კეთდება არა ომის ტრადიციულ მეთოდებზე, არამედ ისეთ ქმედებებზე, როგორიცაა საინფორმაციო ომი, ეკონომიკური, ჰუმანიტარული ქმედებები, რასაც ზურგს შეიძლება უმაგრებდეს ფარული სამხედრო მოქმედებებიც. აღნიშნული სტრატეგია ბევრად ნაკლებ დანაკარგებთანაა დაკავშირებული და მთელი რიგი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არანაკლებ ეფექტური საშუალებაა, ვიდრე ღია სამხედრო დაპირისპირება.

აღნიშნული კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კვლევის დასაწყისში წარმოდგენილი ორივე ჰიპოთეზა დამტკიცდა. კერძოდ, ჩეჩნეთის მეორე ომის პერიოდში, რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა პირველი კონფლიქტის პერიოდში მიღებული გამოცდილება და მკვეთრად შეცვალა თავისი საბრძოლო სტრატეგია ჩეჩენი მებრძოლების წინააღმდეგ, რამაც უზრუნველყო მისი სამხედრო წარმატება მეორე ომში. გარდა

ამისა, ჩეჩნეთის ომების შედეგად მიღებული გამოცდილების საფუძველზე ადაპტირებულმა 1990-იანი წლების სამხედრო დოქტრინებმა, ისევე როგორც შედარებით ახალმა, „გერასიმოვის დოქტრინამ“ კონკრეტული გამოწვევები შექმნა საქართველოს უსაფრთხოების კონტექსტში, რაც ზემოთ იყო განხილული უფრო დეტალურად.

ბიბლიოგრაფია

1. გარი ქინგი, რობერტ ო. კეოჰეინი, სიდნი ვერბა, „სოციალური კვლევის პროექტირება: სამეცნიერო დასკვნები თვისებრივ კვლევებში“. საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2014

2. ვ. გრაუ,ლესტერ. “ჩეჩნეთის პირველი და მეორე სამხედრო კამპანიები - „ყველაფერი ახალი კარგად დავიწყებული ძველია”.

3. მაისაია, ვახტანგ. “რუსეთის ფედერაციის გეოსტრატეგიული ამბიციები და მისი სამხედრო-პოლიტიკური გეგმების რეალიები”.

4. მენაღარიშვილი, ირაკლი. „პანკისის მოვლენები: ჩეჩნეთის ომები და საქართველო“. https://militarium.org/pankisis-movlenebi/

5. მოდებაძე, ვ. “რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი: ბრძოლის დღეები”. https://militarium.org/ruset-chechnetis-meore-omi/

6. რუსეთის 1993 წლის სამხედრო დოქტრინა. https://fas.org/nuke/guide/russia/doctrine/russia-mil-doc.html

7. რუსეთისფედერაციის 2000 წლისსამხედროდოქტრინა. https://www.nti.org/analysis/articles/russias-2000-military-doctrine/

8. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „ჩეჩნეთის მეორე ომი“. 2009 წელი.

9. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. „ბრძოლა დასახლებულ რაიონში“. 2009 წელი.

10. საქართველოსთავდაცვისსამინისტრო. „თავდაცვისსტრატეგიულიმიმოხილვა 2017-2020“. https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf

11. საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია. http://nsc.gov.ge/res/docs/2014063015502327962.samxstrategia.pdf

12. საქართველსო თავდაცვის სამინისტრო. „საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია“. https://mod.gov.ge/uploads/2018/pdf/NMS-GEO.pdf

13. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. საქართველოს კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ. https://mod.gov.ge/ge/page/13/generaluri-shtabis-shesaxeb

14. ჯღარკავა, ირაკლი. „ანტი-მიგრაციული რიტორიკა საქართველოში: ემუქრება თუ არა საფრთხე საქართველოს პრო-ევროპულ დისკურსს ულტრა-მემარჯვენე ჯგუფების მხრიდან“. საქართველოს პოლიტიკის ინსტიტუტი. 2017.

15. Arreguin-Toft, Ivan. How the Weak Win Wars: A Theory of Asymmetric Conflict. International Security. Vol. 26. No 1. 2001.

16. Billingsley, Dodge. Fangs of the Lone Wolf: Chechen Tactics in the Russian-Chechen War 1994-2009. 2013.

17. Buzan, Barry. Wæver, Ole. De Wilde, Jaap. "Security: A New Framework for Analysis". Boulder. CO: Lynne Rienner. 1998.

18. Classics of Strategy. "B. H. Liddell Hart, Strategy (1954)". January 19. 2016. https://www.classicsofstrategy.com/2016/01/liddell-hart-strategy-1954.html

19. De Haas, Marcel. An analysis of Soviet, CIS and Russian military doctrines 1990–2000, The Journal of Slavic Military Studies, 14:4. 2001.

20. De Montbrial, Thierry. Klein,Jean. "Dictionnaire de Strategie". Presses universitaires de France. 2000.

21. Eroukhmanoff, Clara. "Securitisation Theory: An Introduction". 2018.

22. Felgenhauer, Pavel. Russian Strategy in the Chechnya Wars.

23. Galeotti, Mark. Russia's Wars in Chechnya 1994–2009 (Essential Histories). 2014.

24. Galeotti, Mark. Putin is Playing by Grozny Rules in Aleppo. Foreign Policy. September 29, 2016. https://foreignpolicy.com/2016/09/29/putin-is-playing-by-chechen-rules-in-aleppo-syria-russia/

25. Geohistory, Military Learning Between the Chechen Wars. 24 October 2006. https://geohistory.today/military-learning-chechen-wars/

26. Kasapoglu, Can. Russia's Renewed Military Thinking: Non-Linear Warfare and Reflexive Control. NATOResearchPaper. No. 121. November 2015.

27. L. Thomas, Timothy. Russian Tactical Lessons Learned Fighting Chechen Separatists. Journal of Slavic Military Studies. 2005.

28. Malek, Martin. Russia's Asymmetric Wars in Chechnya since 1994. Connections. Vol. 8, No. 4

29. Menon, Rajan. E. Fuller, Graham. Russia's Ruinous Chechen War. March/April 2000. Foreign Affairs. https://www.foreignaffairs.com/articles/russia-fsu/2000-03-01/russias-ruinous-chechen-war

30. Mutter, Paul. The Chechen Wars Cast a Long Shadow. March 29. 2015. https://medium.com/war-is-boring/the-chechen-wars-cast-a-long-shadow-7b058a84ffe9

31. Oliker, Olga. Russia's Chechen Wars 1994-2000: Lessons from Urban Combat: Lessons from the Urban Combat. 2001.

32. Stratfor. Who Gains from the Moscow Apartment Bombings? September 14. 1999.https://worldview.stratfor.com/article/who-gains-moscow-apartment-bombings

33. Stratfor. Putin's New Strategy Short of Breakthrough in Chechnya. May 21. 2003.https://worldview.stratfor.com/article/putins-new-strategy-short-breakthrough-chechnya

34. "The Russian Way of War: Post Soviet Adaptations in the Russian Military and Why the Russian Military Failed in Chechnya - Putin, Grozny, Chechen and Georgian War, South Ossetia, Abkhazia," U.S. Government and Department of Defense. 2017.

35. Wilhelmsen,Julie. Russia's Securitization of Chechnya: How War Became Acceptable (Routledge Critical Terrorism Studies). 2016.

36. T. Canfield, Daniel. The Russian Chechen Wars: Three Lessons for US Defense Planners. 2008.

37. Вторая Чеченская: от артиллерийского сопровождения – к огневой поддержке. 1 მაისი 2017. https://topwar.ru/114595-vtoraya-chechenskaya-ot-artilleriyskogo-soprovozhdeniya-k-ognevoy-podderzhke.html

38. Герасимов, Валерий. „Ценность науки в предвидениИНовые вызовы требуют переосмыслить формы и способы ведения боевых действий".26 февраля 2013.https://www.vpk-news.ru/articles/14632

39. Добиться превосходства над остальным человечеством: Начальник российского Генштаба формулирует программу подготовки к масштабной войне. 09 марта

2019. https://www.novayagazeta.ru/articles/2019/03/09/79808-dobitsya-prevoshodstva-nad-ostalnym-chelovechestvom

40. Конфликты между РФ и Чеченской Республикой в 1994-1996/1999-2009 годы. რია ნოვოსტი. 18 აპრილი 2018.https://ria.ru/20110418/365668402.html

41. Мартовские тезисы генерала Герасимова. 16 марта. https://zn.ua/international/martovskie-tezisy-generala-gerasimova-vezhlivye-lyudi-horosho-no-raketno-aviacionnyy-udar-luchshe-311944 .html

42. Новая военная доктрина РФ: подготовка к масштабной войне.9 марта 2019.https://www.pravda.com.ua/rus/news/2019/03/9/7208764/